

# ანუასტ

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე თ ფ ი ლ ე ბ ი

## განჩინება უწმიდესი სინოდისა.

30 მარტიდან 1910 წელს № 2415, სასულიერო პირთა დაჯილდოვების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისთვის.

მისი იმპერადორებითი უდიდებულესობის უქაზისამებრ, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა ეპარქიის მღვდელთ-მთავრების, მოსკოვის სინოდის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგის წარამოდგინებანი მათდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა დაჯილდოვებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისთვის. პრანენს: საფუძველსა ზედა მომხდარ მსჯელობათა უწმ. სინოდმა განაწესა: წარმოდგენილ სიგბა შინა მოხსენებული სასულიერო პირნი იქმნენ დაჯილდოვებული სიგბში ოღნიშნული ჯილდოებითა და მღვდელთ-მთავართა, მოსკოვის კანტორის და სასახლის სამღვდელოების გამგეთა საკრძალად დაჯილდოვებულ პირთა სია დაიბეჭდოს „საეკლესიო უწყებაში“.

საქართველოს საექსარხოსთვის. ა) ენქირით—ქ. ქუთაისის, ალექსანდრე ნეველის საქათველო ტაძრის წინამდლვარი დეკანზე ითხებ შეიშვილი; ქ. ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის დეკანზე თქონებით გაჭახიძე; იმერეთის ეპარქიის, სვირის საბლალობინო საზოგადო მოძღვარი შტატ გარეთი დეკანზე გიორგი მაჩიტაძე; ალავერდის წის გის ეკლესიის, გურია სამეგრელოს ეპარქიის, დეკანზე თქონებით გადახმარებაში; ბრინჯაოს ეკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგრელი მიხეილ კანდელავი; ფოთის სასაფლაოს ნიკოლოზის ეკლესიის, გურია სამეგრელოს ეპარქიის, მდგრელი კლიმენტი ჭანტურია; 1-ლი კიცის მთავარ ანგელოსის ეკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგრელი კოდრატი ჩიჩიბაია;

ბ) დეკანზობის ხარისხით: საქართველოს ეპარქიის, ერთა წმინდის მრევლის მდგრელი გიორგი გარგარეთელი; იმავე ეპარქიის, ელისავეტოპოლის ბრიგადის, მდგრელი ალექსანრე ტატუნავი; ქ. ქუთაისის, მთავარ ანგელოსის ეკლესიის მდგრელი ალექსანდრე შანიძე; სოფელ კულაშის მაკლესის, იმერეთის ეპარქიის, მდგრელი მიხეილ კანდელავი; ფოთის სასაფლაოს ნიკოლოზის ეკლესიის, გურია სამეგრელოს ეპარქიის, მდგრელი კლიმენტი ჭანტურია; 1-ლი კიცის მთავარ ანგელოსის ეკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგრელი კოდრატი ჩიჩიბაია;

გ) მკერდის ჯვრით, უწმიდისი სინოდისაგან: —თბილისის კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის მდგრელი ითხებ ბერიძე; ქარელის ეკლესიის მრევლის, საქართველოს ეპარქიის, მდგრელი იასთ თქრთბირიძე; არამვართანის მრევლის მაკლესი, იმავე ეპარქიის მდგრელი სტეფანე ანდრიათვეგი; ყარსის საქალაქო საწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებელი გიორგი ურიბოვი; თეთრი-გიორგის მონასტრის, ქართლის ეპარქიის, ბერ-მონაზონი კირილ; კარაურგანის ეკლესიის, ყარსის ოლქის, მდგრელი გიორგი სარიტოვი; გამგე პორ-ჯომის სამრევლო სკოლისა, იმავე ეპარქიის, მდგრელი იასთ გორგაძე; თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის მდგრელი მიხეილ ჭეშიძე; წინამდლვარი წმ. ნინოს ბოლბის ქალთა მონასტრისა, ილუმენი ნინა; ქართლის ეპარქიის, სასაზღვრო საყარაულოს ბაქოს ბრიგადის, მდგრელი ალექსი ბოსკარიავი; ეკონომოსი ნამარნევის მონასტრისა, იმერეთის ეპარქიის, მდგრელ-მთაზონი სიმონ; კელიშის მო-

ნასტრის მდგდელ-მონაზონი ითანხ; სოფელ შაჩი-ტოურის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ამბორქი მამ-ფორი; სოფელ ღვანკითის ეკკლესიას იმავე ეპარ-ქიის მდგდელი ისიდორე კრჭი; შემოქმედის მონას-ტრის, მღვდელი, გუა-სამეგრელოს ეპარქიის, ბერმონაზონი გაორგი; მოხაშის-უშაპატის წმ. მარი-ნეს ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი მაქსიმე გოგინავა; ბანძა-ვედილიკარის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ითანხ გემბ-ლია; პარუხის წმიდა დიმიტრის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის მდგდელი ხარიტონ ცინცაძე; ესაკე-თის ნათლის მცემლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის მდგდელი იაკობ ნოდა; ცალენჯიხის მაცხოვრის ეკ-კლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ალექსი თალთვა-ძე; ახალი ათონის სიმონ კანანიტელის მონასტრის სოხუმის ეპარქიის, მდგდელ მონაზონი გერმანე;

(დ) კაშილავეგით—გლდანის მრევლის ეკკლესიის, საქართველოს ეპარქიის, მდგდელი კორნელი ელისბართ-ვა; ნინო წმიდის მრევლის ეკკლესიის მღვდელი იმა-ვე ეპარქიის, ალექსი გულისავე; საგარეჯოს მრევ-ლის მღვდელი, ამავე ეპარქიის ისიდორე კურნელი; მუხრანის ეკკლესიის იმავე ეპარქიის, მდგდელი გა-ორგი მარიანოვი; საკრამელის მრევლის იმავე ეპარ-ქიის, მდგდელი ითანხ ტაბლივევი; ხილისთავის მრევ-ლის ეკკლესიის, ამავე ეპარქიის, მდგდელი ნიკოლოზ კარიჭევი; ისროლის ხევის, ამავე ეპარქიის, ეკკლე-სიის მდგდელი იაკობ რუსიევი; ტიღვის მრევლის ეკ-კლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი გაბრიელ ათა-ევი; ბრეთის მრევლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი გიორგი ედილოვი; კემერთის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, გდალესიის მდგდელი დამიტრი კას-რაძე; შილდის მრევლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ლევან მიტრიანოვი; ჯიმითის მრევლის ეკ-კლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი დამიტრი გიორგი გიორგი დამიტრი; გოლიცინის მრევლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი მიხეილ ჯეირანოვი; ელიკოლის მრევლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი მიხეილ გიორგი გიორგი დამიტრი; კაკაბეთის მრევლის ეკკლესიის, იმავე იპარქიის, მდგდელი გიორგი გიორგი დამიტრი; ახალშენის მაცხოვრის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ანტონ კალანდაძე.

მდგდელი მაქსიმე შესხია; ქ. ქუთაისის, მთავარ ანგე-ლოსის საკრებულო ეკკლესიის, მდგდელი სპირიდონ ლეგეიმშვილი; სხვავას სოფლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ითანხ გიორგი გიორგი; სოფელ კულაშის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ეპიფანე კანდე-ლიკი; სოფელ ეწრის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ისაკ ასგეგედანი; სოფელ ფერსათის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ლეიონტი წიქორიძე; სოფელ საქარის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ფილიმონ ბარაქაძე; სო-ფელ ცხომის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ევთიმე მაისურაძე; სოფელ შროშის, იმავე ეპარქიის, მდგდელი კირილე დამაშაძე; სოფელ ბარ საჯავხოეს ეკკლესიის, იმავე ეპარქიის მდგდელი ამბორის კან-დელავა; მღვმის დედათა მონისტრის, იმავე ეპარქიის, მდგდელ ვლადიშერ კაპინაძე; სოფელ ჭალატყის, იმერეთის ეპარქიის მდგდელი სოგრატი ფერაძე; სო-ფელ ჯვარის ეწრის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ისახებ ჭუმბურიძე; ქვათანის მთავარ ანგელოსის, გურია-სამეგრელოს ეპარქიის, მდგდელი ფილიმონ შომახია; მასწავლებელი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა მდგდელი ირაკლი კალანდარიშვილი; კოლორის თეოდორე ტირონის ეკკლესიის, გურია სამეგრელოს ეპარქიის, მდგდელი გიორგი გუგუშვილი, სუფსის მღვთის-მშობლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ბართლომე ჩხართაშვილი; ხორ-გიდას ლოთის-მშობლის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის მდგდელი ანტონ ბეგელია; ნაჯახოვის მთავარ ანგე-ლოსის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ნიკოლოზ დამიტრი; ნაბელლარის წმინდა გიორგის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის მდგდელი ლევან მაჭაძე; ახალშენის მაცხოვრის ეკკლესიის, იმავე ეპარქიის, მდგდელი ანტონ კალანდაძე.

# ქართველი

მწყებსმან კეთილმან სული  
თვისი დაჭსდვის ცხოვართაფის  
იოან. 10—11.

№ 7—8

1883—1910 წ.

მაისი 31

თ ი ნ ა რ ს ი.

ოფიციალური განცოცილება: განჩინება უწმ. სინოდისა სასულიერო პირთა დაჯილდოყების შესახებ.

სალიტერატურო განცოცილება: რატომ არის ასე გაძნელებული საღმრთო და და საეკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში, დეკ. დ. ღმბაშიძისა.—ექიმი იოანნე გომართლისაგან წინადელი შემცდარი აზრების უარყოფა. გაგრძელება 1905 წლის პასუხისა დეკ. დ. ღმბაშიძისა.—ბიბლიოგრაფია.—სახელმწიფო სათადბირო.— ჟურნალებაზე ეთავაროს.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადება.

რატომ არის ასე გაძნელებული საღრმოო და  
სამკლებიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდ-  
გის სამავ ჩვენში?

სინოდის წიგნების ბეჭდების სტამბები არ იყო  
გამოგონილი კაცობრიობისაგან ჩვენი მწერლები  
საღმრთო და საეკლესიო წიგნების გადამწერნი ქვე-  
ყანას აკვირებდენ თავისი დაუღალავი შრომით  
და მშვენიერი წერით. ამის დასამტკიცებელად საკ-  
მარისია ერთი თვალი გადავლოს კაცმა ძველის  
ღროიდან დარჩენილ გულანებს, სახარებებს და  
სხვა-და-სხვა წიგნებს, რომელნიც აქა-იქ კიდევ  
მოინახება ზოგიერთ მონასტრებში..

როდესაც სტამბები გამოიგონეს გვროპაში  
არც ერთ სახელმწიფოს არ ჩამორჩენია ჩვენი სა-  
ქართველო წიგნების საბეჭდავის დაარსებაში. მე-  
ჩივილებტე და მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენშიაც  
გამართეს წიგნების საბეჭდავები და პირველად ყოვ-  
ლისა საღმრთო და საეკლესიო ღვთის მსახურების  
წიგნების ბეჭდების შეუდგენ. სანამ რუსეთს შეუ-  
ერთდებოდა საქართველო ჩვენში გაჩაღებული  
იყო საღმრთო და საეკლესიო ღვთის მსახურების

წიგნების ბეჭდების საქმე თფილისში და ქუთაისში.  
უამის განცხის დროს ქუთაისიდან სტამბა, რომლის  
უმფროს გამგეთ იყო სახლო-უხუცესი ზურაბ წე-  
რეთელი გადაიტანეს საჩხერეში, ტიქი იბეჭდებოდა წიგ-  
ნები და ოღონები. ეს სტამბა საჩხერიდან გადატა-  
ნილი იყო რაჭაში სოფელს წესს საღაც დამთავრ-  
და შემოკლებული პატარა ტანის საღლესასწაულოს  
ბეჭდვა. ქუთაისის სტამბაში ასოები იყო ათის და  
თორმეტი ნომრების თავის სათაური ასოებით,  
თფილისის სტამბას კი ათი ნომერის ასო არ  
ჰქონდა, დანარჩენი კი ყველა იმექონებოდა. შეუ-  
ერთდა თუ არა საქართველო რუსეთს ჩვენი სტამ-  
ბები დაკეტილ იქმნენ და ეს სტამბები აღარავის  
უნახავს. ჩვენი წიგნების ბეჭდვა დაწყებს მოსკო-  
ვის სინოდის სტამბაში. 1860 წლადმდე ჩვენი ქარ-  
თული საღმრთო და საეკლესიო წიგნები იბეჭდე-  
ბოდენ მოსკოვში. წიგნები უნდა დაბეჭდილიყო  
იმ ფასებში როგორც სლავიანურ ენაზე იბეჭდე-  
ბოდა, მაგრამ ქართული წიგნების ბეჭდვა მაგდე-  
ნად სახეირო არ იყო, რადგან წიგნები იბეჭდებო-  
და მარტო ათასობით და ათას ხუთასობით და არა  
ოცი და ოცდა ათი ათასობით.

ექსარხოები ყოველთვის მაცალინობდენ, რომ თავი ესახელებიათ რაიმე შესანიშნავი მოქმედებით. სწორეთ ამ წელში ისახელებს თავი „ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებით კავკა- სიაში, რომლის პრეზიდენტად იყო დანიშნული ნამესტნიკი და ვიცე პრეზიდენტად საქართველოს ექსარხოსი. ეს საზოგადოება უმაღლესად იქმნა დამტკიცებული. თვითფეული წევრი ათ თუმნამდის იხდილა საწევრო ფულს ერთ დროებითად ან უ- ველ წლობით ორ თუმანს, რომელსაც მკერდის ჯვარი ეძლეოდა წმიდა ნინასი მეოთხე ხარისხის. საპატივო წევრების გადასახადი უფრო მეტი იყო. ბევრი წევრი აღმოუჩნდა ამ საზოგადოებას, მაგრამ შემოსავალი მაინც არ იყო იმჟენი, რომ უველა მოთხოვნილება დაეყმაყოფილებია. სწორეთ ამ დროს განიზრახა ექსარხოსმა გაღმოყენა ჩვენი საღმრთოდ საეკკლესიო წიგნების ბეჭვა თფი- ლისში და შემოსავალი ამ წიგნების ბეჭვისაგან შემოსული, რომელიც მათის ანგარიშით დიდი იქნებოდა, მოხმარდებოდა, ზემო ხსენებულ საზოგა- დოებას. წიგნების ბეჭვა მათის ანგარიშით უნდა დაეწყოთ ნამესტნიკის სტამბაში.

მოსკოვის სინოდის სტამბა დიდის სიამოვნე- ბით დათანხმდა, რომ ქართული საეკკლესიო წიგ- ნების ბეჭვის საქმე მოეშორებია თავიდან.\* ) უფა- სოდ გადასცა ქრისტიანობის გამავრცელებულ სა- ზოგადოებას უველა სურათების კლიშები რაც საჭირო იყო საღმრთო და საეკკლესიო წიგნების საბეჭვად და სხვა რამებიც ამ საზოგადოების საკუთრებად. უველა ფიქრობდა, რომ საქმე კარ- გად წავიდოდა — ფულებიც ბევრი შემოუვიდოდა საზოგადოებას და წიგნებიც მოსკოვის ფასებთან შედარებით უფრო იაფათ დაჯდებოდა.

როდესაც მოსკოვის სინოდის სტამბისგან გადმოეცათ საჭირო საღმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭვისათვის კარგა ბლობად პოლიტიკა-

\* ) მოსკოვის სინოდის სტამბას საქმეს უჭირვებდა ასოთ ამწყობთა და კორრეკტურის ქებნა ერთი მღვდელი ყავდა კორრექტორად, რომელიც მეფის შვილს ახლდა მოსამ- სახურედ. და რადგან სუსტი კითხვა შეესწავლა მიტრობო- ლიტს აკურთხებინა. სადაც ეს კორრეკტორი უკუღმა მობ- რუნებულ ასოს ნახავდა აწყობილს საეკკლესიო წიგნში არ გაასწორებდა, რადგან საღმრთო და საეკკლესიო წიგნში ყო- ველივე შეუცვლელად უნდა იბეჭვებოდესა!

უების კლიშები და რამდენიმე ასოებიც, საზო- გადოებამ დაწყო ვაჭრობა ნამესტნიკის სტამბას- თან წიგნების ბეჭვის შესახებ. ნამესტნიკის სტამ- ბამ მოითხოვა ხუცური ასოებისთვის და სხვა სა- ჭირო საბეჭვავის მასალისთვი ათი ათასი მანეთი წინ-და-წინ და ამასთან მოსკოვის სინოდის სტამბი- საგან გამოგზავნილი კლიშები და ზოგიერთი ასო- ებიც. შერიგდენ წიგნების ბეჭვის ფასებში. წიგ- ნების ბეჭვის უნდა გაენალდებით სტამბის ათი ათასი მანეთი, წინ-და-წინ მიღებული „საზოგადოე- ბისაგან“, კლიშები და ასოებიც სტამბას შერჩებო- და. წიგნების ბეჭვის რომ სხვა ვისმეს, შერიგე- ბოდა „საზოგადოება“, ათი ათასი მანეთი და კლიშე- ბი სულ იყარებოდა, ამისთან ცუდ პირობებში დაიყვეს წიგნების ბეჭვა. რაც სხვა სტამბებმა გაივეს წიგნების ბეჭვის ფასები ნამესტნიკის სტამბისა, განაცხადეს სურვილი ბევრად ნაკლებ ფასებში ბეჭვა ჩვენი ქართული საეკკლესიო წიგ- ნებისა.

ამ ხანებში სტამბა პქონდა მელიქიშვილს და მუშაობაც კარგად იყო გაჩაღებული. მელიქი- შვილმა აილო ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭვა ბეჭრად ნაკლებ ფასებში იმ ფასებთან შედარებით რომელსაც ნამესტნიკის სტამბა თხოვილობდა. მოსკოვში დაბეჭილ ფასებზე ძლიერ მოიმატა თფილისში დაბეჭილმა ფასებმა. მოსკოვის სტა- მბიდან დავითნს და ლოცვანს ვყიდულობდით ათ ათ შაურად და თფილისში დაბეჭილი გახადეს თითო მანეთად, ამ ნაირად უველა წიგნებს მოემა- ტა ფასი. მაგრამ „ქრისტიანობის აღმადგენელი სა- ზოგადოება კავკასიაში“ — არა თუ მდიდრდებოდა როგორც ფიქრობდენ წინეთ, არამედ არა ვითარ სარგებლობას ვერ ხედავდა. ბოლოს აილო და სრულებით თავი დაანება წიგნების ბეჭვის და ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორას გარ- დასცა. უველანი ფიქრობდენ რომ კანტორა კარ- გად დააყენებდა ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭ- ვის საქმეს.

ლეკ. დ. ლამბაშიძე.

გაგრძელება იქნება

**მიმი იოანე გომართლისაგან ზინაძელი  
შემდეგი აზრის უარისა.**

გაგრძელება 1905 წლის პასუხისა

1905 წელში, ესრეთ წოდებულ განმათავისუფლებელ ხალხის მოძრაობის" დროს, ჩემი განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია საზოგადოდ ხალხის რაღაცა აჩეარებულმა და შემცდარმა აზროვნება—მოქმედებამ და, განსაკუთრებით ივანე გომართლის გატაცებულმა მსჯელობამ კონსტიტუციის დაარსების შესახებ და სამლელოების წინააღმდეგ ამხედრებამ. 1905 წელში ჩვენ გამოვეკამათეთ მას და მოვსთხოვთ კიდეც პასუხი. მაგრამ ივი პასუხის მოცემის მაგიერ ამახინჯებდა ჩვენს ნათქვას და ამ დამაახინჯებულ სიტყვებზე სწერდა გრძელ სტატიებს „ივერიაში“ თავის გამართლების შესახებ. გომართელი თავისას ლაპარაობდა და სწერდა, თორემ კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. ზოგიერთმა ვომართლის თყვანის მცემლებმა მუქარის წერილებიც გამომიგზავნეს და მაფრთხილებდენ, რომ მის წინააღმდეგ არაფერი დაგვეწერა, რადგან მათის აზრით სრული კონსტიტუცია მისის მეთაურობით მაღლ უკვე დაარსდებოდა!. ჩვენ სრულებით ყურადღება არ მიგვიჩევია ამ წერილებისათვის და ყოველთვის გულ ხდილად ვლაპარაკობდით და ვსწერდით, რომ ის მოძრაობა, რომელიც 1905 წელში იყო რევოლუციონური მოძრაობა არ იყო და დიდათ შემცდარი იყვნენ ჩვენი „რეფორმატორები“.

ბევრმა პირებმა გვთხოვა ჩვენ დაგვებეჭდა პატარა წიგნაკად ყველა სტატიები რაც იყო დაბეჭდილი ჩვენგან 1905 წელში გომართელის შესახებ.

დღეს ბ გომართელმა იჯნა ეშმაკისაგან და თავისი შემცდარი აზრები განაქიჭა საზოგადოების წინაშე „ფონის“ გაზეთში. დიდი ლირსება არის თავისი შეცდომის აღიარება, მაგრამ აღსარება უნდა იყოს გულწრფელი. გომართლის აღსარებას კი გულწრფელია აკლია, სწორეთ ამიტომ დავბეჭდეთ შეუცვლელად სამივე წერილი, დასტამბული 1905 წელში ახალი პასუხით.

ჩვენ უმტკიცებდით ბ. გომართელს სხვათ შორის, რომ ის ხშირად იცვლის აზრებს და ამით

ყოველივე მნიშვნელობა ეყარგება მის სწავლა— მოძღვრებას და პუბლიკისტურ სტატიებს..

გომართელი დიდ მოკავშირედ სთვლიდა თავის თავს რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან. როცა დუმაში შეხვდა ორიოდე სიტყვის თქმა თავის წინაპრებად დახატა ვარიაგებთან გაგზავნილი რუსების დეპუტაცია, რომელიც ითხოვდა მათგან წესიერების დამყარებას რუსეთში. ამ სიტყვებისათვის ერთმა სათათბიროს დეპუტატმა კიდეც შეუყვირა და საკადრისი სიტყვები უთხრა მას... ბოლოს პირველი სათათბიროს დეპუტატებმა თავი ისახელს ვიბორგის „მანიფესტით“ და სხვათ შორის ჩვენმა დეპუტატმა გომართელმაც თავი ისახელა... ჩვენის აზრით საჭირო იყო ყველა ის შემცდარი აზროვნება ცხადად დაგვემტკიცებია ბ. გომართლისათვის, რომელსაც იგი იჩენდა 1905 წელში, რომ შემცდები მაინც ასცილებოდა მოუფიქრებლად მსჯელობას და ისეთი სერიოზული საკითხების გარდაწყვეტის, რომელთა გარდაწყვეტა არათუ ახალგაზდა გამოუცდელ ექიმებს, არამედ დიდ გამოცდილ ფილოსოფებსაც ექნელებათ. ჩვენ საჭირო არ მიგაინია, რომ დაწვლილებით გამოუდევთ მის წინანდელ შემცდარ აზრების დამტკიცებას. ბ. გომართელმა, როგორც შენანებულმა ცოდვილმა კაცმა მოძღვრის წინაშე, განაქიჭა თავის შემცდარი აზრები ბეჭდითი სიტყვით და დიუმტკიცა ყველას, რომ ის შემცდარი იყო 1905 წელში, რასაც ფიქრობდა და აზროვნებდა. დიდ შეცდომათ მიაჩინა ვიბორგის მანიფესტი და სრულებით აღიარებს, რომ რუსეთში რევოლუციონური მოძრაობა კი არ ყოფილა კონსტიტუციის დასაარსებლად, არამედ „ბუნტი და აჯანყება“ იყოვთ.

„სჯობს თვითონ ბ. გომართელი ვალაპარაკოთ და მოვაყილოთ თავის ცოდვების განქიქებას: ავილოთ ნომერი „ფონის“ გაზეთის 1909 წლის № 10. ი რასა სწერს ბ. გომართელი ამ გაზეთში.

„როდესაც მე ვითვალისწინებ, ვუკვირდები რუსის ხალხის ცხოვრებას, იმის წარსულს, ჩემთვის ცხადი ხდება, რომ რუსის ხალხი არც პოლიტიკურათ, არც გონებრივათ წინ არ მიდის. მაშე მდიდარი ლიტერატურა რა არის? პუშკინი? დოსტოევსკი? ტოლსტოი? რუსეთის მდიდარი ლიტერატურა არც იმდენათ მდიდარია, როგორც პირ-

ველის შეხდვით გამოუცდელ მკითხველს ეჩვენება. ის ბევრში ნაყოფია დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა. ყოველ შემთხვევაში ეს ლიტერატურა მხოლოდ იმას გვიშტიცებს, რომ რუსეთში არის საკმაოთ დაწინაურებული ინტელიგენცია, რომელსაც ხალხთან არავითარი კავშირი არა აქვს. ხალხისა ამ ინტელიგენციის არ ეყურება, ხალხსაც მისი არა ეყურება — რა. ინტელიგენცია იკვებება ევროპის აზრით, ის სცხოვრობს ევროპის ცდალებით; ხალხი-კი სცხოვრობს ისე, როგორც თუნდა ივანე მრისხანეს დროს, გულში შიში აქვს გამჯდარი, გონებაში მორჩილება, იღვალები კი არ გააჩნია.

ვინც ჩაპერივებია რუსის ხალხის ისტორიას, ერთი მოვლენა ექნება შემჩნეული: რუსეთის ისტორიამ რევოლუცია არ იცის. მაშინ, როდესაც ევროპის ყველა ხალხია განიცადა რევოლუცია, რუსეთში არ მომზდარა რევოლუცია. რუსეთში ყოფილია მხოლოდ „ბუნტი“. წარსული მოძრაობაც მხოლოდ ბუნტი იყო და თუ მას მაინც რევოლუციის უძხიან, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ინუგეშონ, ან მოაწონონ სხვას: ჩვენც ვიცით რევოლუციაო. რითი განირჩევა „ბუნტი“ რევოლუციისაგან? რევოლუცია არის აჯანყება უმრავლესობისა პოლიტიკურს, საოწმუნოებრივს, გონებრივს და სხვ. სფერაში. ხოლო „ბუნტი“ კი არის აჯანყება უმცირესობისა. ბუნტი ძვირათ თავდება გამარჯვებით, და თუ გათავდა გამარჯვებით, ეს უკანასკნელი ხანგრძლივი არ არის, რადგანაც ის უმრავლესობაზე არ არის დამყარებული. რევოლუცია კი არასოდეს არ თავდება სრული დამარცხებით და ეს ცხადიც არის: როდესაც უმრავლესობა იბრძვის, შეუძლებელია რომ რამე — თუნდა სულ მცირეც — არა მოიპოვოს რა.

რა მოვიპოვეთ ჩვენ? სრულებით არაფერი. პირიქით, რაცა გვქონდა, იქ-დანაც დავკარგეთ. ამგვარათ მხოლოდ ბუნტი თავდება და არა რევოლუციია.

მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმე ან რამე დავამცირო, მე მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ რუსის ხალხს რევოლუცია არ ეხერხება; რუსის ხალხს არა აქვს ის ხასიათი, ის ტექნიკამენტი, ის ფსიქოლოგია, რაცა რევოლუციისათვის არის საჭირო.

როდესაც რუსეთის სხვადასხვა პარტიები ერთ მეორეს ამტყუნებენ, არა შენმა შეცულომებმა გამოიწვია საქმის წაგება, არა წენმა შეცოომებმა, ამ ერთმანეთის მტყუნებაში საშინელი ტრადიცია: არავის არ უნდა, ჰეშმარიტებას პირდაპირ შეხედოს, რადგანაც ეს ჰეშმარიტება მეტათ მწარეა; არავის არ უნდა ირწმუნოს, რომ საქმე თვით რუსის ხალხმა წააგო და ყველა ეძებს წარმავალ, შემთხვევითი ხასიათის მიზეზებს. ზოგი იმიტომ იქცევა ეს, რომ იმედების დამცირება არ უნდა; ზოგიც იმიტომ რომ რუსის ხალხს არიცნობს. განა ის რუსები, რომლებიც ვიბორგის მოწოდებას ხელს აწერდენ, რუსის ხალხს იცნოდედნე? არა და ათავსჯერ არა. თუ იცნობდნენ, ამ მოწოდებასაც არ დასწერდენ; თუ იცნობდნენ და მაინც დასწერეს, აქაც საშინელი ტრადიცია, ტრადიცია იმადამიანებისა, რომლებმაც სინამტვილეში ყოველივე იმედები დაპარებებს და ილლიუზებში ეძებენ ჰანგს აშეოთებული სულის მისაძინებლათ, მკვნესარ გულის მისაყუჩებლათ.

რუსეთის ხალხის მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ პოლიტიკური და სოციალური განავითარება და რუსის ხალხის ბუნება ერთმანეთს არ ეწყობა. მარტო რუსის ხალხი კი არ არის ამგვარის ბუნების, მთელი მოდგმა სლავიანთა ამ თვისების არის, — მაღალი პოლიტიკური განვითარება მას არ ეხერხება.

ყოველ ხალხსა ჰყავს ისეთი მთავრობა, როგორის ღირსიც ის არის, როგორიც იმის ხასიათს, იმის ბუნებას, იმის ფსიქოლოგიას შეეფერება. ეს უტყუარი ჰეშმარიტებაა.

ბატონიშვილის ბერებან იყო, მაგრამ იმდენათ მკაცრი, იმდენათ სასტიკი, როგორც რუსეთში, მე არა მგონია, რომ სადმე ყოფილიყოს. მერე რა წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ხალხმა? არავით არი.

პუგაჩოვი, რაზინი — ესენი რევოლუციის მეთაურები კი არ არიან, არამედ ბუნტისა.

თუ სხვაგან ბატონიშვილის მოსპობა შედეგი იყო ხალხის ბრძოლისა, რუსეთში ბატონიშვილის მოსპობა მხოლოდ წყალობა იყო მეფისა, სხვა არაფერი.

ხშირათ გამიგონია, რომ არ მოეცათ, ხალხი თვითონ წაილებდათ და უმჯობესიც — იქნებათ.

შემცდარი აზრია. ხალხი ვერაფერს ვერ წაიღებდა, რადგანაც არც ფიქრობდა სრულებით რისამე წალებას. რუსეთის ფინანსების გაუმჯობესობა ითხოვდა ბატონყმობის მოსპობას და მეფეს რომ არ ეწყალობებია, მე დარწმუნებული ვარ, რომ დღემდე იქნებოდა რუსეთში ბატონყმობა. რუსის ხალხმა მხოლოთ წყალობის მიღება იცის და არა რისიმე მოპოვება.

დატაკებს და მონებს თავის თავათ არასოდეს არაფერი არ მოუპოვებიათ(!).

მონობა—აი ნიადაგი რუსეთის ისტორიის; ბუნტი და რეაქცია, რეაქცია და ბუნტი—აი შინაარსი ამ ისტორიისა“.

ჩვენ ვგონებთ რომ, გომართელის სიტყვებს კომენტარიები არ ეჭირვება. ცხადათ და აშკარად სხანს, რომ ბ. გომართელი დიდად გატაცებული იყო 1905 წელში და ყველას აიმედებდა, რომ რევოლუციაშ უკვე გაიტანა თავის საქმეო. მხოლოდ მეხუთე წლის შემდეგ მიმხვდარა, რომ რუსეთში რევოლუცია სრულებით არ ყოფილა... რა უნდა უთხრა კაცმა ამინთანა პუბლიცისტები? ეს თქვენთვის მომინდვია მკითხველო.

ბ. გომართელს და მის კამპანიას კიდევ უმეტესი შეცდომები აქვთ ჩადენილი.

რუსეთში განთავისუფლებულ გლეხებს მთავრობამ ადგილები გამოაყიდვინა ხაზინის ფულის დახმარებით. ისინი იხდიდენ მცირეს თავნი სესხის და სარგებლის დასაწვავად. ბოლოს მთელი მამულის მესაკუთრედ გახდნენ. ჩვენში, კი დროებით ვალდებული გლეხები კარგა გადასახადს იხდიან მაგრამ სანადელო ადგილები ბატონების საკუთრებად რჩება. ჩვენში მაინც დიდი მამულები შეიყიდეს გლეხებმა მთავრობის დაუხმარებლად. ჩვენში რეფორმატორებმა და „გამჭრიახე პუბლიცისტებმა“ გლეხებს გამოუტადეს, რომ უფულოდ დარჩებათ მათ სახელმწიფო, საეკკლესიო და თავად აზნაურთა მამულები. მათაც დაანებდეს თავი მამულების ყიდვას. თავად აზნაურებმაც ბევრმა შეატოვა ბანკს მამულები და ზოგმა სახელმწიფო ბანკს დაუგირავა. ისინიც ფიქრობდენ: რადგან ადგილები არ გვეწნება ალბად ჩვენც მოგვცემენ სახელმწიფო ადგილებსო!

თავის ცოდვებს და შეცდომას ასე განაქიქებს ბ. გომართელი „ფონის“ მე 12 ნომერში:

„როცა ჩვენში მოძრაობა ძლიერი იყო, ბევრს გვწამდა ადგილ-მამულის კონფისკაცია მშრომელთა სასარგებლოთ. ამგვარი რწმენის დრომ მაღე განვლო და ხელში დაგვრჩია მწარე სინამდვილე. წარმოიდგინეთ ახლა ჩვენი კრიტიკული მდგომარეობა: გლეხებს ვურჩევდით, ნუ ყიდულობთ ადგილ-მამულებს, უსასყიდლოთ დაგრჩებათო; გლეხებს-კი არაფერი არ დარჩათ და აბლა ჩვენ თვითონ გვერცხვინება, როგორდა ვურჩიოთ გლეხებს, იყდეთო, როცა გუშინ ვურჩევდით: ნუ იყიდით, ისე დაგრჩებათო“.

არ ასრულდა ის, რისი იმედიცა გვერცა. დღეს-კი ყოველ სოფელში, ყოველ დღიდ შარაზე უნდა ვყვიროდეთ: გლეხებო, ნუ გაუშვებთ ჩვენს მიწას ხელიდან, წელებზე ფეხი დაიდგით და იყიდეთო“.

რადა დროსია? ვინ იყო ისეთი რეგვენი, რომ ის არ ცოდნოდა, გარდა თქვენ და თქვენი კომპანიისა, რომ ადგილების კონფისკაცია არ მოხდებოდა! დავისახელეთ ერთი რომელიმე ევროპის სახელმწიფო, საღაც ეს კონფისკაცია მოხდენილიყოს. რატომ უნდა იყოს კაცი ისეთი რეგვენი, რომ მოელოდეს იმის ასრულებას ჩვენში, რაც არ მოხდენილა უფრო ბევრად განათლებულ სახელმწიფოებში? როცა ცხინვალი, ჭიათურა და ყვირილა დაიჭირეს ჩვენშა „რეფორმატორებმა“, ფეხი ალარ ედგათ მიწაზე და ნიადაგ იძახოდენ: გავიმარჯვეთო, მაგრამ განა ამ სამი საცოდავი დაბის დაჭრა იყო გამარჯვების ნიშანი?! იქნება ღმერტომა ქმნას ამის შემდეგ მაინც ისწავლოთ ჭკუა და თავი დაანებოთ მეტიჩრობას..“

„ფონის“ გაზეთის მე 11 ნომერში განაგრძობს ბ. ივანე გომართელი: ტერიტორია გვეცლება ხელიდან და ვიღუპებით. დღეს ჩვენში საშინელი სივიწროეა და ასი წლის შემდეგ ათი მილიონი მაინც იქნება ქართველობა თუ მეტი არა და დღეს თუ არ გვყოფნის ის მიწა, რაც ჯერ ხელთ გვაქვს, მაშინ სადღა უნდა დავეტიოთ?..

„ურიებს და სომხებს შეუძლიათ იცხოვრონ უტერიტორიოთ და ამავე დროს თავისი ეროვნული სახე არ დაჰკარგონ. იდეა ერთეულისა, აზრი—რომ ისინი ერთ ერს წარმოადგენენ, ეროვნული ეგოიზმი მათ ძვალ რბილში აქვთ გამჯდარი და მემკვიდრეობით სულიერს თვისებათ გადაქცეული. მათ

უტერიტორიოთაც შეუძლიათ თავისი არსებობა დაიცვან, რადგანაც ეროვნული ეგოიზმი მაშინ ყოველ გრძნობას — კარგსაც და ავსაც — სჭარბობს. ჩვენ კი ამ ერთეულის იდეას, ამ ეროვნულ ეგოიზმს მოკლებული ვართ. როდესაც კითხვა ჩვენს ერს, ჩვენს ეროვნულ საქმეს შეეხებ, ყველა ჩვენგანი მორიცხვით, მოკრძალებით, გაუზედავათ ვიქცევით, თითქოს გვეშინია, მეზობლებს არ ვაწყენინოთ ან ნაციანალისტობა არავინ დაგვწამოსო".

"მეტყვიან, ისტორიულმა პირობებმა განავითარა ებრაელებში და სომხებში ის თვისებანი, რომელთა წყალობითაც მათ თავისი სახე არ დაჰკარგეს და ქართველი ერიც რომ იმგვარსავე პირობებში ჩავარდეს, გარეშე პირობები და ბრძოლა არსებობისათვის ძალა უნდებურათ განავითარებს მასში იმ გვარსავე პირობებსო. "შესაძლებელია, მაგრამ სანამ ეს პროცესი დამთავრდებოდეს, სასნამ ქართველი ხალხის ბუნება გარდიქმნებოდეს, მანამ ის მოისპობა, რადგანაც ამ მხრივ ის ვეღარივის ვეღარ გაუწევს მეტოქობას".

"აი ამიტომ ჩვენი ტერიტორია ჩვენი ეროვნების ბოძია, ჩვენი მიწა-წყლის ყოველი გოჯი ჩვენთვის დაუფასებელია".

ერთ დროს ბ. გომართელი იმას ქადაგებდა, რომ როცა ხალხი გაპროლეტარიატდება მაშინ მიაღწევს ბედნიერ ცხოვრებასო. თუ ასეა საშიშო არ ყოფილა, რომ ხალხი გაღატაკდეს და აღარაფერი არ გააჩნდეს! და ეს ერთ დროს თქვენგან სანატრელი დროც მალე დადგება! ტერიტორია არა აქვს ურიებს და სომხებსო, სწერს ბ. გომართელი მაგრამ იმათში ძლიერ არის განვითარებული, ის თვისებანი, რომელთა წყალობითაც მათ თავისი სახე არ დაჰკარგეს და შრომობა არსებობისათვის განაგრძეს. სცდებით, ბ. გომართელო, ურიების და სომხების შესახებ მსჯელობაში. ამ ხალხს ამხნევებს და ისინი არ აიგავენ ამ ქვეყნის პირიდან და არც აიგავებიან სულ სხვა უფრო რამეთი, ეს სხვა რამე არის სარწმუნოება და მტკაცე კავშირი სასულიერო დასაერთო წოდებათა შორის.

ამ ხალხს ამხნევებს და ასულდგმულებს სულ სხვა რამე და არა ის რასაც თქვენ ფიქრობთ. ეს ხალხები არ აიგავენ და არც აიგავებიან დედა მიწიდან თუ მათ შერჩათ ის რაც დღემდის იცავდა მათ და ხელს უწყობდა ისტორიულად მათი არსე-

ბობის გაგრძელებას — სარწმუნოება და გონებითი განვითარება. სარწმუნოება, ზნეობა და მასთან გონებითი გამჭრიახობა არის დამცველი ყოველი ხალხისა ხრწნილებისა და გაქრობისაგან და არა მარტო მისი ტერიტორიის შერჩენა. რასაკვირველია, ტერიტორიის შერჩენა დიდი საქმეა, მაგრამ როგორ შერჩება ხალხს ტერიტორია თუ ნიადაგ მას ფიქრობს, რომ მთელი მამული დააგირავოს ბანკებში და აღებული ფულით ყოველ დღე იქეიფოს. სარწმუნოება ზნეობა ეკლესიები და სამღვდელოება ხომ სულ ხალხის კეთილდღეობის დამამხობლად მიაჩნდათ ჩვენ რეფორმატორებს!. . ნათქვამია რეგვენი საქმეს წახდენს და ფათარაკს დააბრალებსო. ჩვენმა „რეფორმატორებმა“ თავის რეგვნობით საქმე წახდინეს და სამღვდელოებას და ეკლესიებს და აბრალეს, რომ კონსტიტუცია არ მიეცათ. ამისათვის ხალხს ურჩევდენ ეკლესიების დაწვას და სამღვდელოების ამოულეტას!?

შეიძლება ბ. გომართელმა და მისმა კამპანიაზ გვითხრას: ჩვენ როგორც კაცი გამოცდილება არ გვქონდა, შევსცით, მაგრამ ამის შემდეგ აღარ შეცვლდებოთო. მაგრამ ეს თავის გამართლება არ იქნება. დიდ მეცნიერად მოგაქვსთ თავი და ვეროპის სახელმწიფოების ისტორიის არა გაგეგებათ რა. რეგვენი უნდა იყოს ის კაცი, რომელმანაც არ იცის რა მოხდა საფრანგეთში, ინგლისში და სხვა სახელმწიფოებში? რა ხდებოდა ხალხის მოძრაობის დროს? უცოდინარობა ყველა იმისა რაც იქ მოხდა არ მიეტევება კაცს საზოგადოდ, და განსაკუთრებით ქართველს, რომელიც მეტად წინდახედულად უნდა იქცეოდეს თუ ცოტა რამე უწავლია..



დე. დამბაშვილი.

### ბიბლიოგრაფია

Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества, снаряженными на Высочайше дорованныя средства.

### Выпускъ ХІІІ

Съ приложениемъ 26 таблицъ и 108 цинкографий подъ редакціею графини Уваровой. Москва 1909 г.

დასახულებული შრომა წარმოადგენს ჩვენის წარსულის მკვლევარისა და ისტორიკოსის ექვთ.

სკ. თაყიაშვილის 1902 წლის ექსკურსიის ნაცოფს. დიდი და დაუფასებელი ამაგი დასდო ბ. თაყიაშვილმა თავის სამშობლო ისტორიას ამ შეუდარებელი გამოკვლევით! გაზიადებული არ იქნება თუ ვიტყით, რომ ბ. თაყიაშვილის ეს შრომა საქართველოს ისტორიის ნამდვილი სამკაულია. ექსპედიციის მიზანი — ტფლისის გუბერნიის ახალციხისა ახალქალაქის მაზრების ზოგიერთი უცნობისა და ნაკლებ ცნობილი ძეგლების შესწავლა და არღავანის ოლქის ჩილინდრისა და არღავანის არემარეში არსებულის საქრისტიანო ძეგლების შესწავლა შემოზომა და აღწერა — ძნელი პირობების მიუხედავად, სამაგალითოდ არის შესრულებული.

პირველად მათ დაუთვალიერებიათ აწყური, და აუწერიათ მრისხან აწყურის ციხე და ერთის აწყვერელთა კათედრის ულიდესი ტაძრის ნაშთები შემდეგ უნახავთ ბიერის დიდი ეკკლესია გუმბათით აგრეთვე ტისელი და მისი არემარე. აწყურიდან გასულან ახალციხეს და გზაზე უნახავთ პატარა სოფ. ახალშენის ეკკლესია.

ოშორის წყლის ხეობაში, აუწერიათ ქვემო ოშორის ეკკლესიის ნანგრევები წარწერებით და ზემო-ოშორის ორი ეკლესიის ნანგრევები, რის შემდეგაც გადმოულახვთ ვეებერთელა მთები და ხეობა და შესულიან სოფ. ოტს, სადაც დაუთვალიერებიათ ძველი ციხე და შემდეგ ბეთლემის, ღარტას და შორეთის ეკკლესიათა ნანგრევები, ოსტეკემოთ კიზილდერისის ეკკლესიბი და გასულან ასპინძას, სადაც დაუთვალიერებიათ დიდი ციხის ნანგრევები და სოფლის ზემოთ უგუმბათო ეკკლესიის ნაშთები. ამ სოფლის ძველი ეკკლესიები უკვე ჩაქცეულა.

შემდეგ უნახავთ ახალქალაქისკენ მიმავალ გზით ხიზაბარის ეკკლესია და ციხეების ნანგრევები, და ხერთვისით მისულან ახალქალაქს; ახალქალაქის არ-მარეში დაუთვალიერებიათ სოფლებ ბურჯახეთის, კულასისა ბავრის, თორიის, ხორენის, ჯიგრაშენის, ყაურმიას ძველი ეკლესიები და კუმურდოს ტაძრი, რომელიც ჯვახეთის საკათედრო ეკლესიად ითვლებოდა ძველად. ეს ტაძრი ყურადღებას იქცევს თავისი სიძველით შენობის, სილამაზითა და წარწერებით, ბ. ე. თაყიაშვილს

დაწვრილებით გადმოულია. ამას გარდა ბ. თაყიაშვილს შეუსრულებიათ და სამაგალითოდ შეუსწორებია ბ. ი. როტომაშვილისა და აკ. ბროსეს ცნობები ახალქალაქის სიძველეთა შესახებ.

განზრაბულ მარშრუტის მიხედვით, ექსკურსია უნდა დაშვებულიყო კუმურდოდან მდ. მტკვრისკენ და ენახა წუნდა, თმოვი, ვარძია და იქიდან სოფლებ გავეთითა და კარმაზეთით გასულიყვენ, ყარსის სამთავროში, მაგრამ გზის სიძველისა და უხერხულობის გამო იძულებულ, იყო ამ გზობისად გადაედო ეს განზრაბევა.

ახალქალაქიდან გამგზავრებულან გზატკეცილით ზურზუნს (ჩილდირის უბანშია), სადაც გადმოულიათ ზურზუნის ძველი ეკლესია და გაუცენიათ იქაური ბეგი, ორბელიანების საგვარეულოდან გადმოსული, რომელსაც ჰქონდა საინტერესო ფირმანი სულეიმან დიდისა (შე-XVI საუკ.), ეტრატზე ნაწერი, ზურზუნის მახლობლად მტკვირის პირის, აუწერიათ ქაჯეთის ციხე ანუ შაიონან კალა, რომელსაც ხშირად იხსენებენ ჩვენი მემატიიანები. იქიდან დაუთვალიერებიათ ჩილდირის ტბის ნაპირებზე მდებარე მკელეისის ნანგრევები. ჩილდირის ველზე ზურზუნსა და ცინკალს შუა 1578 წელს მომზღარა სპარსთურქთა ომი, რომელიც დასრულებულა თურქთა გამარჯვებით.

ზურზუნიდან ინექნებ ბ. ს. კლდიაშვილთან ერთად გამგზავრებულან ჩაის, სადაც უნახავთ ძველი ეკლესია წარწერებით. აქვე უნახავთ ძველი ჩილდირის უბნის საკათედრო ტაძარი.

შემდეგ გადაულიათ სოფ. ვაშლობზე და აუწერიათ მთის სოფლების ჩომარდოს, ამჟღარისა და თათალეთის ეკკლესიების ნანგრევები, იქიდან გასულან თათლეთის წყალში, რომელიც საზღვრავს ყარსის სამთავროს ტფლისის გუბერნიისაგან, და შებრუნებულან ისევ ახალციხას მაზრაშ და გავეთის მკელესიები, შემდეგ ისევ გაბრუნებულან თათალეთისა და იქიდან შესულან სოფ. უნახავთ თლილის ქვის ეკკლესიის ნანგრევები ხუცური წარწერით და მახლობლად სანსუთის ეკლესია წმინდანების ბარელიეფებით; იქიდან წასულან არდგანში, აუწერიათ ნაქალაქევის და სხვა ლირსშესანიშნავი სიძველენი.

არდაგანიდან წასულან თლითისის ოლქში და შეჩერებულან სოფ. პენიკში, სადაც იმ საღმოსვე

დაუთვალიერებით შესანიშნავი ბანის ტაძარი პენიკის მახლობლად, რომლის დაწვრილებით ოღწერამდე დაუთვალიერებით პენიკის არე-მარედა შესანიშნავი სოლომონ კალა. შემდეგ შესდგომიან ბანის ეკლესის დაწვრილებით გადმოღებას, რადგან ბანის ეკლესია განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა. შემდეგ დაბრუნებულან პენიკიდან არდაგანს, სადაც აუწერით ციხე-ქალაქი, თაორულ-სომხური და ქართული წარწერები; აქ ჩვენის ნიჭიერი არქეოლოგის ყურადღება სამართლიანად მიუქცევია იმ გარემოებას, რომ ძველი-ძველი ყარსის ციხის კარები, რომელიც იცავდა ქართველთა ბატონობის დროს ძველი-ძველ ქართულ წარწერებს, 1902 წელს უკვე მოესპორ და კვალიც იღარსად სჩანდა. კიდევ მაღლობა ღმერთს, განსვენებულს დ. ბაქრაძეს გადმოულია 1881 წელს და შემდეგ დ. ვ. ქუთათელაძეს, რომელიც ოლთისის ხარკის ამკრეფ ინსპექტორად არის.

ბ. ექ. თაყაიშვილს სამაგალითოდ შეუსრულებია ეს შესანიშნავი მარშუტი; განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია, ამ შრომაში ბანის ტაძარში იშვიათ ფოტოგრაფიული სურათები და სრული რესტავრაცია. თამამად შეგვიძლია ვსტევათ, რომ ეს ძვირფასი შრომა, რომელიც, ვრცელის წინასიტყვაობის გარდა წარმოადგენს საუკეთესო ქაღალდზე გადაღებულ ფრიად შესანიშნავ სიძველეთა თითქმის მკვდრეთით ოლდგენას და იშვიათის ღირსების ცნობებსა და საინტერესო ექსკურსიის დაწვრილებით ოღწერის შედგენას, ეს აღწერა ძვირფასია, არა თუ ჩვენის ნიჭიერის ისტორიკოს-არქეოლოგის ექ. თაყაიშვილის ნაწერთა შორის, არამედ მთელის ჩვენის წარსულის მკვლევართა მოღვაწეობაშიაც კი.

არ შემიძლია ს-ამოვნებით არ იღვნიშვნო ის სიმხნე, რომელსაც ეს ადამიანი იჩენს წარსულის სიძველეთა შესწავლის საქმეში. იმდენი ჩვენთვის არა ერთს ჩვენს მეცნიერს არ გაუკეთებია, დამდენიც ბ. თაყაიშვილს. არქეოლოგიურ ნაშთთა შეუდარებელი მკვლევარი, იგი იმავე დროს არის ჩვენის ეროვნულ კულტურულ ავლადიდების საუკეთესო გამომშევებელი ქარ. შორის წ-კითხვის გამაერც.

ელებელის საზოგადოების მუზეუმის ხელონაწერთა აღმწერი, ხოლო თუ აქ დაუმატებთ მის ინიციატივას და მხნე მუშაობას საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დაარსებით, მაშინ თავმად შეგვიძლია ვსტევმთ, რომ იგი პირველხარისხოვანი მოღვაწეა.

(„საღხო გაზეთი“)

## სასულმეს იურა საიათბირო

თავჯდომარეობდა თ. ვოლკონსკი. ადგილობრივ თვითმმართველობის კომისიის მომხსენებული ჩიხახოვი ვრცლად შეეხმ დასავლეთ გუბერნიის ეროვნულის შემოღების ისტორიას, აღნიშნა თუ რა ნაკლულებანება აქვს 1903 წ. 2 აპრილს დებულებას, ვრცლად განხარტა მთავრობის კანონ პროექტის შინარსი ექვს დასავლეთ გუბერნიის ეროვნის შემოღების შესახებ. მთავრობის კანონ პროექტი დამყარებულია 1890 წლის საერობო დებულებაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისია ვერ დაეთანხმა მთავრობის პროექტის ზოგიერთ მუხლს და უარ-ჰყო ის მუხლი, რომელიც ხმოსანთა არჩევას შეეხება. მთავრობის პროექტით რუსთა და პოლონეთის კურიაში ხმოსანების არჩევა მოხდება უძრავ ქონების და თვითოულ ეროვნობათა რაოდენობის მიხედვით. კომისიის აზრით, არჩევნები მხოლოდ უძრავ ქონების რაოდენობით უნდა განისაზღვროს. კომისიამ ცენზი გაანახევრა. კომისიის უმრავლესობამ უარ-ჰყო ის მუხლი, რომელიც თხოულობდა რუსთა უმრავლესობის უზრუნველყოფას — ხმოსნებული და თვით გამგეობის მოსამსახურებში. კომისიამ ამ მუხლის ნაცვლად მიიღო ახალი მუხლი, რომლითაც სწავლა-განათლების საქმეების გამგედ ეროვნული აუცილებლად რუსი უნდა იყოს. მთავრობის კანონ პროექტით დასავლეთ-გუბერნიის რუსული ეროვნა არსდება — ეს ნამდვილიც ასეც უნდა იყოს, განაცხადა მომხსენებელმა. ფინანსიურ კომისიის

მომხსენებელმა სინადინომ განაცხადა, თუმცა კო-  
მისია წინააღმდეგია ადგილობრივ თვითმართველო-  
ბის შემოღებისა იმ გუბერნიებში, სადაც ერობა  
არ არის შემოღებული, მაგრამ თანახმად სათათბი-  
როს სურვილისა მოითხოვა პროექტის მუხლობრ-  
ივი განხილვა. კომისია ასევბითად ემხრობა მთა-  
ვრობის პროექტს. მხოლოდ წინააღმდეგია იმისა,  
რომ ადგილობრივ კულტურულ საჭიროებათა და-  
საკმაყოფილებად საჭირო ხარჯი ეხლავ განისაზღვრ-  
ოს, რადგან ერობა არას დროს არ შეამცირებს ამ  
გადასახადებს. ფინანსიურმა კომისიამ სურვილი  
გამოსთვავა, რომ სამღვდელოების შესანახი ხარჯი  
დაეკისროს ხაზინას, რადგან ეს საერთო სახელ-  
მწიფოებრივი ხასიათის ხარჯია.

ჩეხები აღნიშნა, რომ მთავრობის პროექტი  
ადგილობრივ მცხოვრებთადმი უკმაყოფილებით არის  
გაულენთილი. პროექტის მიზანია დაიცვას რუს  
შემამულე თავდა-აზნაურთა ინტერესები, ანაცვლებენ  
არა მარტო სხვა ეროვნების მცხოვრებთა, არამედ  
რუსის გოვების ინტერესებსაც. მრავალრიცხოვან  
ებრაელ მცხოვრებთა ინტერესებიც ფეხქვეშაა გათ-  
ელილი. ამ პროექტით ერთდება თავად-აზნაურობა,  
რომელის იდეოლოგი კეშმარიტ რუსთა კავშირია.  
სამარისებურ სიჩქმის დროს რუსეთში მწიფოდება და  
იფურჩქნება კლასობრივი თვით შემცნება. რუსე-  
თის აღორძინებისათვის ერთადერთი საშვალებაა—  
ფართო დემოკრატიული თვითმართველობანი. ორ-  
ატორმა მოითხოვა პროექტის უარყოფა.

სხდომის განახლების შემდეგ მინისტრების  
ადგილზე იჯდა პრემიერ მინისტრი სტოლიპინი.

ილაშჩინე მთხილევილმა, რომელმაც განაცხადა,  
რომ მთავრობა და სათათბიროს უმრავლესობა თა-  
ვის სახელმწიფო პოლიტიკას იმაზე ამყარებენ, რომ  
განადგურონ პოლონერთის ერთი. მთავრობის კანო-  
ნის პროექტი იყავს რუსთა ინტერესებს, თავიდან ბო-  
ლომდე პროექტი ეწინააღმდეგება 17 ოქტომბრის  
მანიფესტს. მონტეველის ლაპარაკის დროს თავ-  
მჯდომარის ადგილი გუჩქვემა დაიჭირა.

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა,  
იმიტომ არ იყო იქანდის შემოღებული ერობა და-  
სავლეთ გუბერნიებში, რომ ზოგიერთი მოსაზრება  
ით არავითარი გარანტია არ იყო რუსეთის სახელმ-  
წიფოებრივ ინტერესების დასაცავად. პოლონელების

აზრით, რადგან ადგილობრივი მცხოვრებნი მიიღ-  
ებენ მონაწილეობას ადგილობრივ თვითმართველ-  
ობის სამეურნეო ორგანიზაციაში, მაშა აღარავითარ  
შეზღუდვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს  
გამწვავბს რუსთა და პოლონელთა დამოკიდებუ-  
ლებასათ. მთავრობის აზრი კი სხვანაირი იყო,  
მთავრობა სკულპტორის ადგილობრივი თვითმართვე-  
ლობის შემწეობით თავი მოუყაროს ადგილობრივ  
ელემენტებს, მაგრამ საჭიროდა სთვლის ერობის  
იდეა დაუქვემდებაროს სახელმწიფოებრივ იდეას,  
რომელსაც დასავლეთ გუბერნიებში თავისი მიზანი  
აქვს. წინად მთავრობას იარაღით გაჰყავდა ცხოვრ-  
ებაში ეს იდეა, შემდეგ ადმინისტრატიულ საშუა-  
ლებით. ამ საშუალებით შეიქმნა პატარ პატარა  
ჯაფუები, რომლებზედაც რუსეთის სახელმწიფო-  
ებრივი იდეა ეყარებოდა. პოლონეთი კულტურ-  
ულიად და ეკონომიკურად ძლიერია. მთავრობას არ  
შეუძლიან ღვთის ანაბრად დასტოვოს რუსის ხალხის  
ის ელემენტები, რომელნიც გაფანტულნი არიან  
პოლონეთში. თუ მათი ინტერესები არ იქმნა  
უზრუნველყოფილი, ეკონომიკურ ბრძოლის დროს  
ისინი საშინალი დამარცხდებანი. ამიტომ მთავრ-  
ობის სურვილია მომავლ ერობაში საცხებით უზ-  
რუნველ ჰყოს რუსეთის სახელმწიფოს იდეა, დაწეს  
დეს ცენტი, მაგრამ რუსის ეროვნებას თავისი  
წარმომადებნები უნდა ჰყავდეს ამ ცენტის მიუხ-  
ედავად. თუ სათათბიროცა და მთავრობაც თანახმ-  
ანი არიან იმისა, რომ რუსეთის ინტერესები დაუ-  
ულ იქმნან, მაშინ ნახევარი ზომები უაზრობა იქ-  
ნებოდა. თუ ერობაში რუსებს მცირეოდენი წარ-  
მომაღენლები ეყოლებოდათ მაშინ შეიძლებოდა  
უარ გვეყო ერობის შემოღების აზრი დასავლეთ  
გუბერნიებშით. შემდეგ სტოლიპინმა აღნიშნა, თუ  
რა პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთის მთავრობა  
პოლონეთში, მოიგონა პოლონელების აჯანყება  
1831 წელში, ალექსანდრე მეორეს და მის წინაპ-  
რების პოლიტიკა პოლონელების შესახებ. რა შე-  
დავათი და უპირატესობაც უნდა მიეცათ პოლონ-  
ელებისათვის, ისინი მაინც უარს არ ამბობდენ  
თავიანთ ეროვნულ მისწრაფებაზე. პირიქით ეს  
შელავათები მათ უფლებას აძლევდათ გაეპოლონე-  
ლებინათ მთელი მხარე. ალექსანდრე მეორის  
მშვიდობიან პოლიტიკას ხელმეორედ აჯანყებით  
გასცეს პასუხი პოლონელებმათ. აი ისტორიული

გაკვეთილები, რომელნიც პირდაპირ უკარნახებენ რუსეთს, რომ მას უფლება არა აქვს ხელი აიღოს თავის სახელმწიფოებრივ მიზნებზე.

საჭიროა შემოღებულ იქმნეს ერობა დასავლეთ გუბერნიიებში. საჭიროა ადგილობრივი ელემენტები ჩაერიცნენ თვითმართველობის საქმეში, მაგრამ ამავე დროს საჭიროა სახელმწიფო მაზრა დასდოს, დაიცას უმცირესობის ინტერესები. ამიტომაა, რომ პროექტი იცავს ურიებს ეროვნების მიხედვით მარტო ქონებით რომ განისაზღვროს არჩევნების ცენტი, პაშინ პოლონელებს ექნებოდათ ერობა ხელში ჩაგდებული რუსის მცხოვრებნი ღარიბები არიან და ქონებრივი ცენტი არა აქვთ. არ უნდა დავიციშვილ არც მართლმადიდებელ სამღვდელოების როლი, იმათაც სამი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთო. დასასრულ სტოლიპინმა განაცხადა, მთავრობის პროექტის მიზანი ის კი არ არის, რომ პოლონელები შეზღუდოს, არამედ ის, რომ რუსის ხალხის ინტერესები დაიცას.

სტოლიპინის სიტყვის შემდეგ სხდომა ცოტა ხნით შესწყდა. სხდომის განახლების შემდეგ, ბოგდანოვების რუსის ნაციონალისტების სახელით მხარი დაუჭირა მთავრობის პროექტს. შემდეგ ილაპარაკეს უვაროვება და და გოლოვინმა: უკანასკნელმა განაცხადა, რომ ეს პროექტი შედგენილია სამინინტროსაგან, რომელიც პასუხის მგებელია მეფის წინაშე, პროექტი ეწინააღმდეგება 17 ოქტონბერის მანიფესტსათ. მთავრობამ იმიტომ გამორიცხა სახელმწიფო საბჭოდან ათი პოლონელი, რომ პოლონეთის ხალხის ყურადღება არ მიიქციოს იმ საკითხების განხილვამ, რომელნიც მთავრობას არა სურს. მთავრობის განზრახვა მიზანს ვერ მიაღწევს, რადგან უბედურებას მათივე ეროვნებათ შემაღვენლობა კი არა, არამედ თვით მთავრობაა, რომელმაც თავი უნდა განიკურნოს და მხოლოდ მაშინ მიაღწევს საზოგადოებასთან ერთობას, მაშინ საერობო დაწესებულებანი კარგი დამხმარენი იქნებიან მთავრობისათ. ვისთვისაც ძვირფასია ერობის საქმე, ის ხელს ვერ მოაწერს ამ პროექტზეო, დააბოლოვა გოლოვინმა. სკენციციის სთვეა, რომ პროექტი თავიდან ბოლომდე პოლონელების საწინააღმდეგო აზრითაა გაეღვნილი. დროა შეიგნონ რუსის ნაციონალი-

სტება, რომ პატარა ერების სიძულვალი და დაწევენა კი არ მიანიჭებს რუსეთს ბელინიერებას, არა მედ ამ ერებთან თანხმობა, სიყვარული და მევობრობათ. პოლონელებს არა სურს ის ერობა, რომელსაც მთავრობა იძლევა, მაგრამ ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ როდესაც საერთოდ შეიცვლება და გაუკეთესთვება საერობო დებულება რუსეთში, პოლონეთსაც მხარს არ აუქცევენ, რადგან პოლონელებმა ბევრ გზით დაამტკიცეს თავის არსებობის ისტორიული უფლებავო (ტაში მარცხნივ).

### 28 მაისის, დილის სხდომა.

თავჯდომარობს თავ. ვალენინესია. ოპოზიციის ცალიერ სკომებს ზოგიერთი მემარჯვენები იკავებენ. სხდომაზე 160 კაცია. განაცრობენ ფინლანდის კანინ პროექტის მუხლებრივ განხილვას. უკამათოდ მიღებულ იქმნა მეორე განყოფილება კომისიის რედაქციით, რომლის მიხედვით ფინლანდიის სწორი სახელმწიფო საბჭოში ორს წევრს სამი წლით ირჩევს, ხოლო სათათბიროში — ოთხს. მიღებულ იქმნა აგრეთვე მესამე განყოფილებაც. შემდეგ სათათბირო გადადის პროექტის მესამედ განხილვაზე. მესამე მუხლი საბოლოოდ მიღებულ იქმნა კომისიის რედაქციით. მეორე მუხლი განხილვის დროს სახელმწიფო კონტროლიორი სარიტონოზი აცხადებს, რომ მთავრობას არაფერი აქვს ფონ-ანრების შესწორების წინააღმდეგ, რომელიც ფინლანდიის ძირითადი მართვა-გამგების შეცვლის ინიციატივას მის უდიდებულებების ასაკუთრებს. (ტაში ცენტრში). მარკოვი 2 აზრით მთავრობის განცხადება შეუსაბამებელია მონარქიულ თვალსაზრისთან, იმიტომ, რომ ამ გვარად შესაძლებელი ხდება, რომ მისი უდიდებულებების ინიციატივით შეტანილი პროექტი სახალხო წარმომადგენელობაშ უარ-ჰყოს.

ნეკლიუდვით გმხრობა ფონ-ანრების შესწორებას, ხოლო ზამისლოგსეი მარკოვ მე-2-ს. სახელმწიფო კონტროლიორი ამბობს, რომ მთავრობა ემხრობა ფონ-ანრების შესწორებას, რათა უზრუნველ ჰყოს ამ გვარ საქმეების მშვიდობიანი განხილვა (ცენტრში ტაშის ცემა). კამუსტინი და მერქნდოფიაცია ემხრობიან შესწორებას. მეორე მუხლი მიღებულ

იქნა ფონანრების შესწორებით მემარჯვენების წინააღმდეგ.

დასვენების შემდეგ უკამათოთ მიიღეს კანონ-პროექტის დანარჩენი მუხლები.

გლეხოვმა შეორებ განცხადა, რომ ცხრამეტი ოქტომბრისტი შეგძლებლადა სთვლის მიიღოს კანონ-პროექტი იმ სახით, რა სახითაც მიღებულ იქნა ლერხეს, კაპუსტინის და ფონანრების შესწორების შემდეგ. შესწორებული კანონ-პროექტი ძირიანად ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლის მიხედვით ფინლიანდის შინაურ ჰაქეებში სრული დამოუკიდებლობა უნდა შერჩეს.

დერე უერთდება გლებოვის განცხადებას და თან უმატებს, რომ ის პროექტის წინააღმდეგ აძლევს ხმას კიდევ იმიტომ, რომ შესწორებათა უარყოფის შემდეგ რუსეთის კანონ-პროექტს საზარალოდ სთვლის არა მარტო ფინლიანდიელთა, არამედ რუსეთის ინტერესებისათვისაც.

კანონ-პროექტი მიღებულ იქნა 164 ხმის უმეტესობით 32 ხმის წინააღმდეგ (ტაში მარჯვნივ) პურაშკევიჩი ადგილიდან ჰყვირის:

(აღსრულდა ფინლიანდია!.)

წესრიგში დასავლეთ გუბერნიაში ერობის კანონ-პროექტის მესამე განხილვა სდგას! ოპოზიცია ბრუნდება სხდომის ზალაში. მიღებულ იქნა უკამათოდ პირველი განყოფილება და მეორე განყოფილების პირველი მუხლი მეორე განხილვის დროს მიღებული რედაქციით. 171 ხმის უმეტესობით მიიღეს მეოთხე მუხლის პირვანდელი რედაქცია, რომელის მიხედვით ებრაელებს აკრძალული აქვთ საერობო არჩევნებში მონაწილეობა და ხმოსნობა.

5 საათ. 50 წ. სათათბირო სწყვეტს კამათს ერობის კანონ-პროექტზე, ღებულობს ექვსს პატარა პროექტს, ხოლო ორს—საგუბერნიო ქანდარმთა შტატის გაფართოებაზე და სამხრეთაღმოსავლეთ სამთა-მადნო სამმართველოსთვის კრედიტის გადაღებაზე უკუაგდება.

## ურანილ-გაზეთითაგან

გაზეთ „რების“ მოჰყავს რამდენიმე სტატისტიკური ცნობა, რომელიც ნათლად ასურათებს ოპოზიციის შეხედულებას ფინლიანდიზე, როგორც „პატია კულტურულს ერზე“ მჭიდროთ შეკვეშარებულზე მთელი კაცობრიობის წინსვლასთან“.

საფოსტო საქმის განვითარება სამართლიანათ ითვლება რომელიმე ქვეყნის კულტურული სიმწიფის საზომად. ქვემოდ მოყვანილი ცხრილიდან სჩანს თუ რავდენი მცხოვრები მოდის თვითეულ საფოსტო დაწესებულობაზე:

გერმანია	.	1,550	მცხ.
ფინლიანდია	.	1,650	"
დიდი ბრიტანია	.	1,860	"
ავსტრია	.	3,140	"
საფრანგეთი	.	3,230	"
იტალია	.	3,800	"
ესპანია	.	4,000	"
უნგრეთი	.	4,080	"
რუსეთი	.	10,380	"
ოსმალეთი	.	17,000	"

მაშინ როცა რუსეთი კულტურული მისდევს კულტუროსან სახელმწიფოებს და მხოლოდ ოსმალეთს სკარბობს საფოსტო დაწესებულებათა რაოდენობით, ფინლიანდია მხოლოდ ერთად-ერთ გერმანიას ჩამორჩენია უკან, თვით მაღალ კულტუროსან ინგლისს კი მხოლოდ მესამე ადგილი უკავია ამ რიგში:

საგარეო ვაჭრობის მხრივ პირველი ადგილი დედამიწის ზურგზე უეჭველად დიდს ბრიტანიას ეკუთვნის: იქ თვითეულ სულზე 200 მანეთზედ მეტი მოდის საგარეო ადგებიცემობაში. ინგლისის მეორე—გერმანიაში მხოლოდ 100 მან. მიაღწია თვითეულ სულზე. „პატია კულტუროსანი ერის“ (ფინლიანდიის) საგარეო ვაჭრობა ბევრით არ ჩამორჩება გერმნიისას: 1908 წელს აქ 80 მან. მოდიოდა თითოეულ მცხოვრებზე. რუსეთი კი შედარებით შვიდჯერ ნაკლებ ვაჭრობს ვიდრე ფინლიანდია: აქ სულზედ მხოლოდ 11 მანეთი მოდის.

ფინლიანდია უკან არ რჩება რუსეთს თვით სასოფლო მეურნობაშიაც კი თავისი სასტუკი ჰავისა და უნაყოფინიადაგის მიუხედავად.

თუ ეხლა განვითარების, პროგრესის ტენდენციასაც გავითვალისწინებთ, მაშინ კიდევ უფრო აშკარად დავრწმუნდებით ფინლიანდიის კულტურულს უპირატესობაში რუსეთთან შედარებით. მაშინ როცა რუსეთი ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ერთს და იმავე ადგილზე ტრიალებს, ფინლიანდიამ ამავე დროს ერთნახევარჯერ გააფართოვა თავის საგარეო ადგებიცემობა, შესამჩნევად გაზარდა რკინის გზის ქსელი და გააძლიერა წარმოება.

მუშათა რიცხვმა, ამ წნის განმავლობაში 91.055 სულიდან 135,415 სულ. აიწია, ე. ი. 50% იმატა.

პროგრესის ფინლიანდიაში მხოლოდ ერთად ერთ დარგს არ ეტყობა: არაყის გამოხდას, რომელიც ამ ათს წელს თთქმის ერთ დონეზე იდგა და უფრო შემცირებისაკენ მიიღოდა, გადიდებისკენ...

მართალია არაყის გამოხთის და „მოხმარების“ მხრივ რუსეთი შესამჩნევად სჭარბოს ფინლიანდიას, მაგრამ პურიშვევიჩების სავალალოდ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კულტურული უაღრესობის დასამტკიცებლად სხვა რამეც არის საჭირო თვი ნიერ „ვოდკისა“ და „მონაპოლიებასა“. ეს გარემოება საიდუმლოებას მხოლოდ „პატრიტული“ ვნებათა ღელვათ დამთვრალი კომპანიისთვის შეადგენს, რომელიც ნაციონალური ტალახიანი „კალოშებით“ სხვისი შრომით და გამჭრიახობით შექმნილი კულტურის გათელვას ლამობენ.

დროებით კონსტიტუცია ჩინეთში:

ჩინეთის ხალხმაც კარგა ხანია მოითხოვა კონსტიტუცია. მთავრობამ აღუთქა 1916 წელში აუცილებლად დამყარდება კონსტიტუციონური წესწყობილება, მანამდინ კი მზადებაა საჭირო. მთავრობას განზრიახული აქეს ეხლავე ისეთი დაწესებულება შემოიღოს, რომელიც მომავალში ცენტრალურ პარლამენტს საფუძვლად დაედება. გასულ წელსავე შემოიღეს საოლქო სეიმები. ეხლა მთავრობა იწვევს ცენტრალურ კომისის (ცხიჩენ იუან). ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს 200 დეპუტატი, რომელთაგან 100 დეპუტატს საოლქო სეიმები ირჩევენ, ხოლო დანარჩენებს თითონ მთავრობა ნიშნავს. 16 სამეფო გვარეულობის წევრთაგან, 6 მეფის გვარეულობის შორეულ ნათესავთაგან, 12-მანჯურიისა და ჩინეთისა თავად-აზნაურთაგან, 12 წარმომადგენელი დამარცხებულ ერთი თავადებისაგან (მანგოლია, თიბეტი)“ 32 სამინისტროების უმაღლეს მოხელეობაგან და ცენტრალურ დაწესებულებისაგან, 10 მეცნიერების წარმომადგენელი და 10 დიდ გადასახადების გამლები მოქალაქეთაგან. საიმპერიო კომისია ყოველ წლივ შეიკრიბება მორიგ სესიებზე, რომლებიც სამ თვეს გასატანს თუ საჭიროება იქნება ოთხ თვესაც. შეიძლება არა ჩვეულებრივ სესიის მოწვევაც თუ რაიმე საჭირო საქმე იქნება. სესიის მოწვევს ან თითონ მთავრობა,

ან კომისიის წევრთა ნახევარი. კომისიის კომპეტენციას შეადგენს — შემოსავალ გასავლის განხილვა, სხვა და სხვა კანონ პროექტი, გარდა ძირითად კანონებისა, შეუძლიან შეკითხვები შეიტანოს და სხვა. საიმპერიო კომისიის კანონდებლობის თაოსნობის უფლება აქვს და იმის წევრები ხელშეუხებელი არიან. თუ საოლქო სეიმებსა და გუბერნატორებს რამე უთანახმობა მოუხთათ საიმპერიო კომისიამ უნდა იკისროს სამედიატორო სასამრთლოს მოვალეობა და გაარკვიოს დავის მიზეზი.

**პულტურული შემსახური და ეროვნული ბრძოლა ავსტრიაში.**

ყველამ იცის, თუ რა დიდი როლი ითამაშა ავსტრიის სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაში „სასკოლო მატიცების“ დაარსებამ. ექვსმა მილიონმა ჩეხებმა ამ ბოლო დროს ისეთი საპატიო აღილი დარწირეს ავსტრიის სახელმწიფოში, რომ არც ერთი დიდმინიშვნელოვანი საკრთხი შინაურ და გარეშე პოლიტიკისა მათს გარეშე არა სწყდება. აუცილებლად ანგარიშს უწევენ ჩეხების აზრსა და სურვილს. მილიონ ნახევრიანი სლოვენთა ხალხიც საგრძნობელ ძალას წარმოადგენს ავსტრიაში, პოლიტიკის ხელმძღვანელნიც ვერ უქცევენ მხარს იმათ აზრსა და სურვილს. და ყველა ამისათვის ავსტრიის პატარა ერები „მატიცას“ მადლიერნი უნდა იყვნენ. „მატიცების“ სამსახური ერის წინაშე მარტო ის კი არ იყო, რომ სალეში აღვიძებდა სამშობლო ენისა და კულტურისაღმი სიყვარულს, არამედ ისიც რომ ეს „მატიცები“ პატარ-პატარა უჯრდები შეიქმნენ ერთ მთლიან ეროვნულ კულტურულ ორგანიზაციის შესაქმნელიდ.

ეროვნული ბრძოლა მეტად ხელს უწყობდა კულტურულ წარმატებას არა მარტო პატარა ერებისას, არამედ მთელ სახელმწიფოსაც ავსტრიაში მცხოვრები ერები შეჯიბრებულნი არიან და ერთი მეორეს ებრძვის, ყველა სცდილობს გათვითონობიერებს მეორე ერზე უკეთესად, მეტად აიყვავოს თავის სამშობლოს კულტურა, წინ გაუსწროს სხვა ერს არა მარტო სულიერ კულტურის განვითარებით, არამედ მატერიალურ კულტურის აღორძინებითაც, გარეშე მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება

აქვს, თითქო ეს ერები დაუსრულებელ „სკანდალების“ პოლიტიკით ასუსტებენ სახელმწიფო ორგანიზმის განვითარებას. ბევრს წარმოდგენილი აქვს, რომ პარლამენტში, ამ ერთა ბრძოლა ავსტრიაში ხასიათდება იმ „ობსტრუქციებით“, რომლებსაც პარლამენტში ახდენენ ხოლმე. ბრძოლა კულტურის აყვავებისა და ეკონომიკურ წარმატების ნიადაგზე პარლამენტს გარეშე, მუშავობა თავგამოდებულია მუყაითი. საკოლო მატიცას მოღვაწეობა მთავარი ძარღვია ამ ბრძოლაში. მატიცა პირველ ყოველის, იმასა სცდილობს, რომ ერის ყველა ბავშვმა იკრიდეს სამშობლო ენაზე წერა-კითხვა, იკრიდეს სამშობლოს წარსული და ლიტერატურა. და ავსტრია ვერც კი მიაღწივდა იქამდის, რომ არ გაემრავლებინა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. თუ არ ეს ეროვნული შეჯიბრება და „მატიცები“ ბევრ მიუვალ, მთიან ადგილებს არ ელირსებოდათ სკოლა. მთელს ავსტრიაში მხოლოდ ოთხი ოლქია, სადაც ყოველ 100 ბავშვიდან მხოლოდ 90 დაიარება სკოლაში, სხვა ადგილებში ყველგან 99, 6 პროცენტი და 99,8 პროცენტი საკოლოდ მოყრილ ბავშვებისა სკოლებში დადია.

მაგრამ მატიცა მარტო წერა-კითხვის გავრცელების არა კიმუნფილდება ისა სცდილობს შემდეგაც იზრუნოს თავის ერის შეიალებზე, რომ ისინი გამოაფოლადოს და მედგარი მებრძოლი შექმატოს ერს, „მატიცის“ გარშემო დაარსებულია სკოლის გარეშე კურსები, საბავშო ბალები, წიგნების გამარცელებელნი საზოგადოებანი, ეროვნულ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების დამხმარე საზოგადოება, მომხმარებელი საზოგადოებანი, ეროვნულ მრეწველობის გაუმჯობესების საზოგადოება და სხვა.

ამ მატიცებმა თვით გერმანელებიც კი გააღვიძეს. იმათაც დაარსეს თავიანთი „schuiverein“ მატიცას წაბადვით. გერმანელბს პირველი ადგილი ეჭირათ კულტურულ ში, თავიც მოჰქონდათ, როგორც ყველაზე კულტუროსნებს, მაგრამ მიტომ რომ ასეთი სასწავლო მოქმედება პატარა ერებში და გერმანელებმა საკუთარის თვალით იხილეს საოცარი წინსვლა პატარა ერებისა—თოთონაც წაბადვის. გერმანელებსაც „მატიცა“ ოცდა

ათი წელიწადია, რაც დაარსდა და დღეს 1,800 ადგილობრივი ჯგუფი ჰყავს ამ „მატიცას“, 140.000 წევრი და ყოველ წლივ ერთ მილიონ კრონზე მეტსა ჰარჯავს თვის მიზნის მისაღწევად. შარშან ერთმა გერმანელმა მწერალმა მოწოდება დაბეჭდა გაზეთებში და აღნიშნა, რომ განაპირა ადგილების გერმანელებისათვის ათასი სკოლის დარსებაა საჭირო ი. თერთმეტი თვის განმავლობაში შეიკრიბა ფული ამ სკოლების დასაარსებლად. ავსტრიაში ისე შეეჩივნენ ამ შეჯიბრების პოლიტიკას, რომ ისინიც კი, ვინც მთავრობისაგან უზრუნველყოფილია და კანონით დაცვას თხოულობდენ ეხლა ეროვნულ ბრძოლაში საკუთარ თავოსნობისა და თვითმოქმედების უნარით გამოდის. ყველა თავის სამშობლო კულტურის აყვავებისათვის იღწვის—სხვის გათელვა მიზნად არა აქვს.

ამ მატიცებმა ისე განამტკიცეს ეროვნული იდეა, შეაკეთების ერის ძალები, რომ ავსტრიის პოლიტიკური წრები კიდეც მიეჩივნენ იმ აზრს რომ ერთა ცხოვრების ნორმალურ მსვლელობისათვის ეროვნული ავტონომიებია საჭირო. ასეთი დიდი სამსახური გაუწია „მატიცამ“ პატარა ცერეს. მაგრამ თვით ეს ერები ცოცხალი და სიცოცხლის მოყვარულნი თორებ წინააღმდეგ შემთხვევაში არიან უცხოველები „მატიცაც“ ვერას გააკეთებდა.

### პატარა შეიცვლები

აკაკის პატარა მოთხოვობიდან „სიკვდილი“, (ან შეიძლება: „სიზმარი“) ერთა სურათი მაგონდება: აკაკი სიზმარათ ვითომ სამოთხეში გაჩნდა: სდგას იგი თამარის წინ და თავისებური აზრიან ხაზ-გასმით უამბობს ერველი სავალალო მოვლენას აწინდევლ საქართველოს ცხოვრებიდან. ამ ღროს უცემ გამოვარდება ერთი მოხუცი, რომელიც თურმე საბა სულხან ორბელიანი აღმოჩნდა და თამარს მოახერხა. „ბატონო, მე რომ სიბორნე-სიცრუის წიგნში ეია—მერბლი მეავს გამოუვანილი ევ ის იქნება, თორებ ღმერთმა ნუ ჰქნას შენი საქართველო ავრე დაცემული იუსტი“. ჰქონეს პანდური აკაკის და ისევ ამ ცოდვილ ქვეუანაძი გადმოადგეს, გვერდის მომავრნა ქართველ სტუდენტების გარშემო

ამტედარშა კამათმა ბევრს არ სჯერა, რომ ჩვენი სტუდენტობა აკრე დაცემულიყოს, როგორც გამოევანილია ფოცხვერაძევილის ვოლევილში.

უველაპ ვიცით, როგორი აურ-ზაური გამოიწვია მთელს რუსეთში პურიძეების მიერ იმ ახალგაზღობის უძვერმა ლაბანდვამ რომელიც მთელი რუსეთის სასოებას და იმედს შეადგინს. ვიცითოა მადლობით და აღტაცებით შეუერთა მთელმა პროგრესიულმა რუსეთმა თავისი გულის წერომა პროგრესიულ დეპუტატთა გულის წერომას. რამ აამფოთა აგრე უველა? პურიძეების სიცრუემ, ცილის წამებამ თუ სხვა რამე? კათედრაზე რომ ვინმე მსუსხავი ასულიყო, თუნდ თითონ მილიუკოვი ან როდიჩვი, ან ვინმე მსუსხავი ენის პატრონი და ბიბლიურ წინასწარმეტვეველისამებრ სტუდენტობის ნაკლულოვანებანი ქხშილებინა, მერწმუნეთ მაძინ არაფითარს გულისწერომას ადგილი არ ექნებოდა. მართლადაც სტუდენტობა კასტა კი არ არის, რომელიც უოველივე გავლენის გარეშე იდგეს! სტუდენტობაც საზოგადოების ერთი ნაწილია, მისი შეილია და უოველივე კარგი თუ ცედი მოვლენა საზოგადოების ცხოვრებამი იმასმი მოსჩანს. იმამი იხატება. დიდი ხანია ნათქვამია: „სტუდენტობა საზოგადოების ბარომეტრით“, და მართლადაც აბა კადავის ნედროთ ამ საზოგადოებამი. ათას ნაირი „სივარულის ლიგები“ „სანინისტები“, ჭომოსექსუალიზმის, სადიზმის და სიტიტვლისშორის, განა ეგ ჩვენი დროის სინამდვილე არ არის?!

ბევრნაირად ხსნიან ამ მოვლენას, ბევრს სხვა და სხვა მიზეზებს ასახელებენ და მათმა თითქმის საერთოავოდ მიღებელია, რომ

რეკოლიუციის უდღეულობამ, მისმა დათრგუნვამ სასოწარკვეთილებამდე მიგვიუვანაო. იშედები გავვიცრუვდა, გულის წადილმა ფრთა ვერ გაძალა და დაგუბებულამ ვარამმა გარევნილებაში ამოხეთქაო. უოველივე ეგ ბეიძლება მართალი იუთს, მაგრამ არ უნდა გვარიშედებოდს, რომ ზემო ჩამოთვლილი ნიმანნი უზნეობისა, გარევნილებისა შეთღუდ 1905 და 1906 წელს არ შექმნილა. სანინი 1905 წელს კი არ დაბადებულა, თორემ იგი ორი წლის იქნებოდა და არა 30-35 წლის კაციარცვიბამევის „საძა“ 1905 წლამდისაც დიდი ხანია გარევნილ ქუჩებში დაძრწოდა.

თუ რეკოლიუციია კატასტროფიული კარდაშნაა არსებულია და გახერებულის ტემპით მიისწრაფება იმისაკენ, რისაკენაც აქამდის ჩუმად და უჩინრბდ მივიზნდებნებოდით. მაშინ, ადვილი მისახვედრია, რომ რომელიმე შესაძინებელი მოვლენა ხალხის ცხოვრებაში რეკოლიუციის შემდეგ მომხდარი უწინაც ჩასახევი იყო.

ორნაირად სარკებლობები რეკოლიუციის ანალიზით ერთი მეორის მოწინააღმდეგებები უკიდურესი მიმართულებანი. უკიდურეს მემარჯვენები მეფისტოფელები დახარსარებენ მიწაზე განართხულ რეკოლიუციას, ზედ დალურსმული ჩექმებით შემდგარან და უკურთხებენ: რეკოლიუციაში ბრძოს ველურ ინსტიტებს გზა გაუხსნა, სულიერდაც გააღმატავა და ხორციელდე გარეგნილების მორგვები კადასტრორცხნაო. იმათი აზრით მთავრობამ აღირი წახსნა ველურ ინორთდების და „უიდების“-ო. (მენიკოგვის ტერმინით), ისინი სიამით ეძღვიან გამარჯვებულთა სიხარულს და ნიმნის მოგებით დასცინიან ინტელიგენციას, როგორც

კანკითარების, ცვლილების და წარმატების მსახურთ. პურიძეებიჩიც ამიტომ ქაზარობის უკეთი იმ დეფექტებით, იმ შეცდომებით, რომელთაც საღმე თვალს მოჰკრავს. მეორე მხრით, პროგრესიული ნაწილი საზოგადოებისა იმიტომ აღნეუსხავას ხოლომე თავის ცხოვრების დეფექტებს, აღიარებს შეცდომებს, რომ აღმოჩენილ ავადმეოფობას რამე წამალი გამოიწახოს და რისი გასწორებაც შეიძლება, გასწორდესიგი კი არა სტყბება, არა მედ გულ-მოკლული დასტილის მას, თავს-დასტრიალებს როგორც მგლოვიარე მოჭირნახულე. ავადმეოფისათვის თითქმის უმთავრესი მნიშვნლობა აქვს; რომელიმე გამოუკვლეველი ავადმეოფობა ძლიერია თუ კი გამოიცნობენ რამი ძღვომარეობს იგი.

ჩვენთვის ეხლა საინტერესოა, მართალია თუ არა, რომ ჩვენი სტუდენტობა დაწვრილებულია, განუვითარებელი, ზნეობითაც შელახელი, ძლიერ მარტივი და ცხადი საკითხი, რომ არ დავაძნელოთ და საქმე არ გავაზვიადოთ დევ თითოეული ჩვენგანი დაკითხოს თავის თავს: რისი გაკეთება შეუძლია მას (ჩვენ კრიტერიუმად საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა გვაქვს აღებული), რა ინტერესებს, რისთვის ემზადება მომავალ ცხოვრებაში, რა ცოდნა შეუძლია რუსულ უნივერსიტებში (რასაკვირველია, აქ მარტო მენდელეევის ცხრილი და რომის უფლების ისტორია არ გვაქვს სახეში)? ენა ჩვენ არ გვისწავლია და არ ვიცით; ქართულ ცხოვრებას არ ჩავკვირვებივართ და ვერც ვიცნობთ; საკუთარი ზურგის კანი არ აგვწეია და ჩვენი ქმედის მომავალს არ დავუფიქრებივართ. მაგ-

რამ, ერთი მიბრძანეთ, რამდენია ჩვენგანი რომ უცხო ქვეუძლის ცხოვრებას ღწნობდეს, თვალს ადევნებდეს ან პოლიტიკას და ან მეცნიერების მიმდინარეობას. რასაკვირველია, თამაბად შეგვიძლია მიუვთითოთ რამდენიმე სტუდენტზე, რომელთაც ჩასწორდია გული ჩაუქრობელი ნაპერწელი, რომელიც წარსულ ცხოვრების დელგას პირველ რიგებში გამოუვანია, მაგრამ ესენი თითებზე დაითვლება. ეს — რაღა გავაგრძელოთ, როდესაც ერთი გულუბრუელო კითხვაც გადასწევეტს საკითხს: რატომ არსადა სჩანს 1000-ზე მეტი ქართველი სტუდენტობა?

(„სახალხო გაზეთი“)

## აზალი აშპები და შენიშვნები

\* \* \* გაგებასის უნივერსიტეტი. კავკასიის უნივერსიტეტის მომწყობ კომიტეტის თავჯდომარე სენატორმა ვატაციმ თხოვნით მიმართა ბაქოს, ერევნის, განჯის, ფოთის, სოხუმის, ალექსანდროპოლის, ქუთაისის, ბათუმის, კავკავის, ეკატერინოდარის, მოხვდოკის, გრიშნის, ყიზლიარის, ტემრიუკის, ეისკის, შაიკოპის, ანაპის და ნოვორისისკის ქალაქის თავებს. სენატორი ვატაცი სთხოებს, ხენებულ ქალაქების თანხილან ფული გადასდეთ კავკასიის უნივერსიტეტის მოსაწყობად და აგრედვე ყოველწლიური დახმარება აღმოუჩინეთ მას, რადგან მოკლე ხანში უნივერსიტეტის გახსნა ასეთ შეწირულებებზეა დამოკიდებული.

\* \* \* წერა-კითხვის გამავრცელება საზოგადოება. ხეთშაზათს, ვ ივნისს, გ. ყაზბეგის ოვალომარეობით ქართ. შორის წერ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრთა სხდომა მოჰქმდა, რომელზედაც განხილულ იქმნა რამდენიმე მიმღინარე საქმე. სხვათა შორის, გამგეობამ მოისმინა



საზოგადოების ბორჯომის განყოფილების გამგეობის ორის წევრის ვ. ყიფიანისა და ნ. ჯომარჯიძის განცხადება. ესენი სთხოვდნენ გამგეობას, რადგან ბორჯომის განყოფილების გამგეობის წევრთა შორის დიდი უთანხმობა სუფეს, რასაც შეიძლება განყოფილებისთვის ცული შედევი მოჰყვეს, ამიტომ საჭიროა დანიშნოთ კაცი ადგილობრივ საქმის გამოსარკვევადა და მოსაწესრიგებლადაც. კრებამ საქმის გამოძიება დაავალა გამგეობის წევრს პეტრე სურგულაძეს. იმის შემდეგ კრებამ დაადგინა შემწევის აღმოუჩინოს რკინის გზის დეპოს სამკიონეველოს 10 მან. წიგნების მიცემით. დასასრულ არჩეულ იქმნა გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგად ღლ. ბ. მდივანი, ნაცვლად ი. ს. ლულაძისა, რომელიც გამგეობის წევრობას სრულიად თავი დაანება.

\* \* გაზ. „ფონი“ს. შეჩერება. როგორც გვატყობინებენ ქუთაისში დროებით შეუჩერებიათ ადგილობრივი კვირული გაზეთ „ფონი“. მაგრამ არ ვიცით მთავრობისაგან არის შეჩერებული თუ თვის უსახსრობისაგან.

\* \* ავტომატიური მანქანა. რაჭის მაზრის, სოფელ სხვავის გლეხს ერასტი კაციტაძეს ერთვარი ავტომატიური მანქანა გამოუგონია. ამ მანქანის საშუალებით, ადამიანის დაუხმარებლად შესაძლებელი ჰქდება მატარებლის მოძრავ ნაწილებს მაზუთი, ან სხვა რამ სითხე თავისთავად წაისვას. ამ წინაზე ბ-ნ კაციტაძეს მთავრობის წინაშე შეამდგომლობა აღუძნავს, რათა მის მიერ გამოგონებული მანქანა რკინის გზებზე შესარულონ ხმარებაში. როგორც ამ უამად დანამდვილებით, გავიგეთ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს კაციტაძის შუამდგომლობა შეუწყნარებია და ამასთანავე შესაფერი პატენტი გამოუჟავნია.

\* \* სემენარიელების განთავისუფლება. დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, შეტეხის ციხეში დაპატიმრებულ სემენარიელებს აკაკი ტყემალიძეს და ინდრია ანჯაფარიძეს ჩაეთვალა წინასწარ გამოძიების დრომდე ციხეში ჯდომა და 5 მაისს უკვე გაანთავისუფლეს. სემენარიის მთავრობამ ორივენი დაითხოვა სემენარიიდან.

შეტერბული: კუკოლ-იასონ-პოლსკის რევიზიაში აღმოაჩინა, რომ სამხედრო საკრებულოში საქმეების წარმოება მეტად აწეშილ-დაწეშილი ყოფილა. აღმოაჩინა ბევრი უკანონობაც.

\* \* ფინანსისა და გენერალი კოჩევა. ხმები დადის, რომ ლანგოფის მაგივრად ფინანსის

საქმეების სტატს-სეკრეტარიად გენერალ კოჩევის ნიშავენი. „რუსკ. სლოვოს სიტყვით სტოკჰოლმში ამან ერთი აურზაური გამოიწვია. ხალხმა გადასწყვიტა უკელვან მრავალ-რიცხოვვანი მიტინგები გამართოს პროტესტის გამოსაცხადებლად.“

\* \* უხვი შეწირულება. ამ დღეებში კიევში გარდაიცვალა პერეიისლავის მაზრის მემამულე ბატალიონი, რომლის ქონება მიღლიონ მანეთს უდრიდა. ეს ქონება მას სულ ერთიანად პერეიისლავის ერობისთვის უანდერძია.

\* \* სტატისტიკა. სამეფო სახლისთვის რუსთში წლიურად 34. 200,000 მარკა (მარკა — 47 კაპეიკი) გადადებული, ავსტრიაში — 19.226,000 მარ., პრუსიაში — 15.819,000 მარ., იტალიაში — 12.800,000 მარ., ინგლისში — 11.600,000 მარ., ესპანიაში — 7.400,000 მარ., იაპონიაში — 6.500,000 მარკა, ჩერნოვისრიაში, რომელსაც ამ მხრივ უკანასკნელი ადგილა უჭირავს 200,000 მარკა, საფრანგეთის პრეზიდენტს დაახლოვებით 1,000,000 მარკა ექლევა.

\* \* ძეირფასი სურათი. ამ დღეებში ლონდონში საჯაროდ იყიდებოდა მხატვარ ფრანგის კორის სურათი: „ფრინველთა ბუდეების მონადირენი“. ხანგრძლივი და გაშმაგებული ბრძოლის შემდეგ ის კნედლერის ამერიკელმა ფირმამ შეიძინა 136,500 მან., კორო განსაკუთრებით უკვართ ამერიკელ მიღლიონებს. ამ ცოტა ხნის წინად მისი „მეთევზე“ ნიუიორკში 160,000 მან. გაიყიდა, ხოლო „დილა“ 140,000 მ. თვითონ მხატვარი უქვე მკვდარია, მაგრამ მის რეალისტურს პეიზაჟებს დღითი დღე ემატება თავისის მცემლები.

\* \* მონრეალი. „ფამი პერალდის“ რედაქციაში განხდა ცეცხლი. დაიწვა რედაქციაში მოსამსახურე 40 ქალი.

შარიზი. ავეჯეულობის ფაბრიკაში პოლიციასა და 3000 გაფაცულ მუშას შეტაკება მოუხთათ. ოთხი აგენტი მძიმედ არის დიჭერილი: დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

\* \* არგეილერ (რეინის პროვინცია). არის მიდამოებში მოღიღებულმა წყალმა ბევრი ხილი და სახლები დაანგრია, მცხოვრებთა რიცხვს 87 კაცი აკლია. იპოვეს 34 დამხრევალის გვამი.

## ● ი ს ე რ დ ე ბ ი ა ნ ●

დეპარტამენტი დაცით დაგამაჟიდისაგან უძღვილესი  
და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამარტინებელი  
საზოგადოების წიგნის მაღაზიში, უვირიფაში—  
«მწყვმის»-ს რედაქციაში.

**1. საქართველოს და ლიტერატურის წიგნები.**

1. **ლ ტ ც ა ნ ი** ნახატებიანი, გამოცემა  
მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უზავ-  
რები დღესასწაულების ისტორიული მოთ-  
ხობით. ამ ლოცვანში არის მთელი  
წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარა-  
კლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების  
ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვების სრულს  
თვეო-მეტველებაში არიან ჩართული  
საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული  
მოთხობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ.  
ყდით 25 კ. და უყდოთ . . . . . 20 კ.
2. წერი სნეულის ზიარებისა და ერცელი პა-  
ნაშვილისა, ფასი . . . . . 10 კ.
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსა-  
ხენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20—
4. ძონუაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყ-  
დოთ 30 კ. კარგი ყდით . . . . . 50 კ.
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და  
თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-  
კონდაკებით ფ. . . . . 5 კ.
6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 კ.

**2. სასაწვლო და სახელმძღვანელო წიგნები.**

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე,  
პირველი ნაწილი უყდოთ 25 კ. ყდით 30 კ.  
მეორე ნაწილი უყდოთ 25 კ. ყდით 30  
ორივე ნაწილი ერთად ყდით . . . . . 60 კ.
2. დაწყებითი გაკეთილები საღმრთო სჯუ-  
ლის სწავლებაზე, ფასი . . . . . 15—
3. სხალი სასულიერო კონსისტორიათა წეს-  
დებულება—ფასი . . . . . 30 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების  
დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—  
ფასი ყდით . . . . . 20 კ.

**3. სამურნობლო წიგნები და დარიგება კან-**

**მრთელობის დაცვაზე.**

1. სხალი კარაბადინი, მეორე გამოცემა და-  
მატებით, რომელიც განხილული, მოწო-

ნებული და ნება-დართულია კავკასიის  
საექიმო რჩევისაგან ყდით ფასი . . . . . 1 კ.

უყდოთ . . . . . 60 კ.

2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვა-  
ლების მოვლაზე, ფასი . . . . . 10—

3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის  
საუბარი . . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ჰქოლესიები  
და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხო-  
ვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ.  
განმანათლებელი, ფასი. . . . . 15 კ.

2. ბელათის მონასტრები და ცხოვრების აღ-  
წერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ.

იგივე რუსულ ენაზე . . . . . 20 "

3. შიო მღვიმის მონასტრები და ცხოვრების  
აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.

4. მთავარ-მოწ. დაცით და კოსტანტინე  
და მოწამეთის მონასტრი.—ფასი . 5 კ.

იგივე რუსულ ენაზე . . . . . 10 კ.

5. ვარძის მონასტრები, ფასი . . . . . 5 კ.

6. მარტვილის მონასტრები . . . . . 2 კ.

5. საუფლო და ლიტერატურის დღესასწაუ-  
ლების აღწერა ზენობრივ სწავლა დარიგებით.

1. ლოთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—

2. ტაძრად მიყვანება ლოთის-მშობლისა, ფ. . 2—

3. აშალება პატიოსნისა და ცხოველს-მყო-  
ფელისა ჯეარისა, სურათით . . . . . 2—

4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.

5. მირჩა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—

6. ხარება უოვლად ჯიღა ღვთის-მშობლისა 2—

7. ბზობა სურათით.—ფასი . . . . . 2—

8. აღდგომა სურათით.—ფასი . . . . . 2—

9. მიძინება ყოვლად წმ. ლოთის-მშობლისა, 2—

10. ხელოუნებელი ხატის ისტორია . . . . . 3 კ.

6. მოწამენი, ღირსი მამანი და დედანი სა-  
ქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქარ-

თველოს მეფები და დედოფალი:

1. წმიდა მოწამე რაელენი, სურათით, ფასი . 3 კ.

2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—

3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—

4. თამარ მეფე, სურათით . . . . . 5—

5. გიორგი მთაწმილელი . . . . .	10—
6. ოთანნე ზედაშნელი . . . . .	5—
7. შუშანიკა . . . . .	2—
8. ქეთევან დედოფალი . . . . .	2—
9. არჩილ და ლუარსაბი . . . . .	5—
10. წმიდა ნინო რუსულად . . . . .	8—

7. რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის  
წიგნები და საუბრები:

1. ფაიდანი მღვდელ-მთავარი: ბასილი დიჭი, გრიგორი ლვილი-მეტყველი და იოანეს მოხრავისი, სურათებით — ფასი . . . . .	5—
2. როგორ უნდა ემართებულობდეთ — ფასი . . . . .	2—
4. ანდრია პირელ-წოდებული, ისტორიული პოემა აკაფისი, ფასი . . . . .	5—
5. სიკედლი მართლისა, პონტოსელი პილა- ტეს მეუღლის წერილი . . . . .	5—
6 ხმა მოძღვრისა სამწესოსადმი. საუბარი შესწავლა იქსო ქრისტესი . . . . .	3—
7 შეილების მოვალეობა მშობელთადმი . . . . .	3—
8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი . . . . .	3—
9 ვინ არიან ჩევნი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ესძლიოთ მათ . . . . .	3—
10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა . . . . .	3—
11 საუბარი ლეთის სიტყვაზე . . . . .	3—
12 — შრომაზე . . . . .	3—
13. სამგები სიკედლი . . . . .	5 »

### 8. მოთხოვბანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით — ფ. . . . .	5—
2. მსოფლიო (მოთხოვბა დაბადებიდამ) სურ. . . . .	5—
3. სიბრძნე ქართველისა, სურათით. . . . .	5—
4. იოსები . . . . .	5—
5. მრავალ წმიდანი იობი . . . . .	5 კ.

### 11. მხატვრობანი სას. და საერთო მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. . . . .	25 კ.
3. თამარ მეფე . . . . .	25 კ.

იმექანება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები  
და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

### ხატები და მხატვრობანი.

იმექანებინ პატარა იაფ-ფასანი-ხატები ფიცარზე  
სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის  
მაცხოვრის, ცერესის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა გიორგის,  
ანდრია მოცეკველის, პირელ წოდებულისა და  
ათორმეტთა ღღესასწაულთა. ეინც დაიბარებს ხა-  
ტებს არა ნაკლებ ღცისა, იმათ ჩევნის საქართლო-  
ში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახუმა  
ამასთან იმექანება სკელ ქაღალდზე ნახატი წმიდა  
ნინასი, საქართველოს განაპათლებელისა ვარა ყით  
6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატუ-  
ლი წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტა-  
ტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და  
ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმარათ-  
ლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თთოვასი 5 კ.  
ეინც ზემო ღლინიშნულ წიგნებს გამოიწერს არა  
ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30  
კ. ეინც არ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ  
ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზანს არ იხდის.

იმექანება აგრეთვე მრავალი პატარა გულ საკადი  
ხატები ფერგადუვალი ლათონისა, სახელდობრ: ნი-  
ნოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენე-  
ბლისა, თამარისა, ანდრია პირელ წოდებულისა და  
წმიდა გიორგისა, ფასი თითოვასი 5 კ. ეინც ასს და-  
იბარებს ნადღ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა  
სამ მან. ესეთი იმექანებიან ცერესისაც, ფასი 40 კ.

### უკრანალის „მწყემსი“-ს

### სტამბა

(დ. დ. ლამბაშიძისა)

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ას-  
რულებს სამუშავოს სუფთად და დროზე, ძლიერ  
დაკლებულ ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ლამბაშიძის საკუთარ  
სახლებში.